საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 16 ივლისი. 2019 წ. №142 (8808) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დღეს ათიდან ცხრა ქართველი იმ აზრისაა, რომ სანამ „ცრუსთავი-2“ მაუწყებლობს, ქვეყანაში არც სიმშვიდე იქნება, არც სტაბილურობა და არც ჯეროვანი განვითარება.

„ცრუსთავი-2“ „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე ბინძური, ანტიქართული წარმონაქმნია, ურომლისოდაც ეს დამნაშავე რეჟიმი ვერ იარსებებს.

„ცრუსთავი-2“ ქართული ჟურნალისტიკის სირცხვილია!

ლირსების საქმე

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში

მთელი საქართველო „საკრალური“ 18 ივლისის მოლოდინშია – დაეთანხმება ევროპული სასამართლო საქართველოს სასამართლოს სამ ინსტანციაგამოვლილ გადაწყვეტილებას „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, თუ არ დაეთანხმება. როგორც სამართლის სპეციალისტები ამბობენ, იოტისოდენა შანსიც არ არსებობს, რომ არ დაეთანხმოსო, მაგრამ...

მაგრამ არსებობს მოვლენათა განვითარების მესამე, ე.წ. თეორიული ვარიანტი – სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების გადავადება.

ვფიქრობ, ყველა ანტისახელმწიფოებრივ და საქართველოსადმი მტრულად ან არცთუ მეგობრულად განწყობილ ინდივიდუალურ თუ ორგანიზებულ სუბიექტებს სწორედ ამ სავარაუდო განვითარებაზე აქვთ მთელი ძალისხმევა მიმართული.

სამართალმა ერთადერთ შემთხვევაში (ისევ და ისევ თეორიულად) შეიძლება ვერ ჭამოს პური – ევროპული სასამართლო თუ იკადრებს და პოლიტიკურ ველში გადაიჭრება და ასეთ „ახსნას“ გამოაცხობს – იმის გამო, რომ საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობაა, ჩვენს ვერდიქტს მოგვიანებით გამოვაცხადებთო... (თეორიულად). ისიც არის შესაძლებელი, გამოაცხადონ განაჩენი და აღსრულება გადაგვივადონ.

ობიექტურად, ასეთი სცენარის ხილვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ხომ მოხდა და ერთმა ევრომოსამართლემ, სულ ცოტა ხნის წინათ პირადი პასუხისმგებლობით, პოლიტიკური მოტივით, ხომ შეაჩერა აღსრულება?! იმავე სასამართლოში ხომ ჭიანურდებოდა ბატონი ლადო ჭანტურიას დანიშვნის გადაწყვეტილება?! საქართველო ხანდახან, „საჭიროებიდან გამომდინარე“, ხომ ადვილად დასაიგნორირებელი ქვეყანაა?!

მოდით, ასე ვთქვათ – გააჩნია, საქმეში „ზევიდან“ ვინ ჩაერევა... არადა, „ზევიდან“ უკვე ჩარეულები არიან...



განაჩენის გამოცხადების დღისთვის მზადება დიდი ხნის წინათ დაიწყო. „ნაცმოძრაობისა“ და მისი ტელევიზიების მიერ მართული პროცესების ერთ-ერთი მთავარი ინტერესი აღნიშნული დღისადმი მომზადებაც იყო. სქემა მარტივია – დაპირისპირების ინსპირირების გზით, პოლიტიკური ვითარების დაძაბვა გარკვეული დროის განმავლობაში.

შუალედურ არჩევნებზე პროტესტის აგორება არ გამოვიდა, რადგან „ნაცების“ შიდა რესურსი ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ, ყველაფერზე წამსვლელმა პროვოკატორებმა მიმართეს ნაცად ხერხს და დახმარებისთვის ჩრდილოელ მფარველებს უხმეს. (იმის ახსნა უკვე უხერხულიცაა, რომ სააკაშვილისა და მისი მეგობრების მთელი „მოღვაწეობა“ ჩვენს ქვეყანაში რუსული ინტერესის გატარებას ემსახურება.)

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ „გავრილოვის პროვოკაცია“ სამი ლოკაციიდან, შეკრული სამკუთხედის სამი კუთხიდან განხორციელდა – რუსები, „ნაცები“ და „ოცნების“ გარკვეული ჯგუფი. დესტაბილიზაციის ორგანიზატორთა პრობლემა ისაა, რომ „აქციებს“ თითებზე ჩამოსათვლელი მხარდამჭერები ჰყავს.

ყურადღების გასამახვილებელი ფაქტია, რომ არარსებული „მუხტის დაჭერისთვის“ მაინც დიდი ფული იხარჯება. აქედან გამომდინარე, ყველასთვის გასაგები ხდება, რომ პოლიტიკურად მართული, თითიდან გამოწოვილი „პროტესტი“ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – სხვადასხვა მისამართზე, „საჭირო ხალხისთვის“ დაგზავნილ იქნას ე.წ. „კარწინკა“. ეს „საჭირო ხალხი“, თავის მხრივ, შეეცდება აღნიშნული მასალა გამოიყენოს ევრომოსამართლეებზე ზეწოლისთვის.

ერთადერთი, ვისაც ზემოხსენებული სამეულიდან ევროპული სასამართლოს ყველა წევრზე ერთდროულად წნეხის განხორციელება (თეორიულად) შეუძლია – რუსეთია(!).

იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპული სასამართლოს სამართლიან გადაწყვეტილებაზე ვერანაირი ქვედა დინებები გავლენას ვერ მოახდენენ და ჩვენი სასამართლოსა და, აქედან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფოს ღირსება არ შეილახება ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსურნე შიდა და გარე ძალების პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ბიძინა დვალი

ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ

8

გადავურჩით ეკონომიკურ სანქციებს?

საგანგაშო სტატისტიკა:

ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ქართულ ეკონომიკაში 65 პროცენტია!

ამერიკაში დოლარის გასაუფასურებლად ემზადებიან, რას მოუტანს ეს ლარს?

4

საფუძვლიან ეჭვნაზე დამყარებული წიგნი

5

საფუძვლიანი ეჭვნის გასაღრმავებლად

„სამწუხაროდ, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სასწავლო პროგრამიდან უპასუხისმგებლო ადამიანების მოქმედების შედეგად ამოიღეს“

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ადამიანების მოქმედების შედეგად, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან და ამან გამოიწვია ჩვენი საზოგადოების სამართლიანი და ობიექტური გულისწყრომა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში განაცხადა, სადაც ახალი სასწავლო წლიდან, სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ადაპტირებული ვერსიით დაბრუნებასთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

მისი თქმით, მთელი ქართული განათლების სისტემა დაეფუძნა სწორედ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპებს და ეს წიგნი თითოეული ქართველისთვის არის სათაყვანებელი.

„მაშინდელი ეპოქისთვის და მაშინდელი პატრიოტებისთვის წერა-კითხვის გავრცელება იყო ეროვნული იდეა, ისინი სწორედ წერა-კითხვის გავრცელებაში ხედავდნენ საქართველოსა და ქართველი ენის გადარჩენას. დღეს ჩვენც გვაქვს ეროვნული იდეა და ეს არის განათლება“, — აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

როგორც დღეს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში სექტემბრიდან წიგნს ყველა პირველკლასელი უფასოდ მიიღებს.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში 2019-2020 სასწავლო წლიდან ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება. სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია საქართველოს პარლამენტის ინიცირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და მას ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს.

ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

მამუკა ბახტაძე: არავინ დარჩება დაუსჯელი!

არავინ დარჩება დაუსჯელი და პროცესი, რომელიც მიმდინარეობს 21 ივნისიდან, არის ამის მკაფიო დემონსტრირება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა ჟურნალისტებთან 20-21 ივნისის მოვლენებზე საუბრისას.

მისი თქმით, მიმდინარეობდა პარლამენტის შტურმი და პოლიცია იძულებული იყო, გამოეყენებინა ლეგიტიმური ძალა.

„ამასთან, სამწუხაროდ, ჩვენ გვყავს დაშავებულები და იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთმა სამართალდამცველმა გადააჭარბა მის უფლებამოსილებას და გამოიყენა ზედმეტი ძალა. ეს ყველაფერი უნდა დაადგინოს გამოძიებამ, რომ მოხდეს თითოეული ადამიანის იდენტიფიცირება, რომელმაც თავისი უფლებამოსილება არ გამოიყენა ისე, როგორც კანონი მოითხოვდა, მოახდინა ძალის ზედმეტი დემონსტრირება. ამის შედეგად სამწუხაროდ, გვყავს დაზარებული ადამიანები, ახალგაზრდები და პოლიციელები. არავინ დარჩება დაუსჯელი და ეს პროცესი, რომელიც მიმდინარეობს 21 ივნისიდან, არის ამის მკაფიო დემონსტრირება. ისევე, როგორც ე.წ. პოლიტიკოსები, უპასუხისმგებლო ადამიანები არ აცდებიან პასუხისმგებლობას, რომ გამოიყენეს ახალგაზრდების გულწრფელი პროტესტი თავისი პროვოკაციული მიზნებისთვის“, — აღნიშნა პრემიერმა.

არჩილ თალაკვაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად 15-20 ივლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევა.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში არჩილ თალაკვაძე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობის ლიდერთა ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. არჩილ თალაკვაძე ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს და დემოკრატიისთვის ბრძოლაში პარლამენტის წევრების როლზე ისაუბრებს.

ფორუმში მონაწილეობის პარალელურად, პარლამენტის თავმჯდომარე შეხვედრებს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული პარტნიორობის კომიტეტის თავმჯდომარესთან დევიდ პრაისთან, კონგრესისა და სენატის წევრებთან, სახელმწიფო მდივნის მოქმედ თანაშემწესთან ფილიპ რიკერთან, ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტ დეიმონვილსონთან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელმძღვანელ მარკ გრინთან და ექსპერტებთან გამართავს.

დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სერგი კაპანაძე შედიან. ვიზიტის ფარგლებში, თამარ ჩუგოშვილი და სერგი კაპანაძე კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობის ლიდერთა ფორუმში მიიღებენ მონაწილეობას და ორმხრივ შეხვედრებს გამართავენ.

ვითხოვთ ლუსტრაციის კანონს!

„თეთრების“ ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი მოითხოვს ლუსტრაციის კანონის შემოღებას.

„კაგებეს“ ყოფილი აგენტი არ არსებობს. ჩვენ ვითხოვდით და ვითხოვთ ლუსტრაციას. ერთხელ შევარდნაძემ მითხრა, თუ ლუსტრაცია მოხდა, ისეთი რამეები გამოაშკარავდება, რომ ქვეყანა გადაეკიდება ერთმანეთსო. კარგი ბატონო, ყველას ნუ შეეხება, მაგრამ ვინც არჩევნებში აპირებს მონაწილეობას, მათ აუცილებლად შეეხოს ლუსტრაცია. ჩვენ ვაპირებთ არჩევნებში მონაწილეობას და განაცხადის გაკეთებას. არავინ უშლის ხელს, რუსეთში წავიდეს და შეხვდეს იქ ვისაც უნდა, მაგრამ ამ ადამიანებს არ უნდა ესაქმებოდეთ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებსა და საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში.

ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ არა მარტო „კაგებეს“ დიდი კონტინგენტია საქართველოში, ირანის, თურქეთის და სხვა სპეცსამსახურების წარმომადგენლებიც მრავლად არიან წარმოდგენილები და თუ გვინდა მართლა დამოუკიდებელი ქვეყანა, მათი ლუსტრაციაც უნდა მოხდეს, — აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

საარსებო მინიმუმი ივნისში 188.1 ლარით განისაზღვრა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის ივნისში, მაისთან შედარებით, საქართველოში საარსებო მინიმუმის ოდენობა შემცირდა.

მაისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 190.1 ლარი შეადგინა. ივნისში კი, ეს მაჩვენებელი 2 ლარით შემცირდა და 188.1 ლარზე დაფიქსირდა. ამასთან, საქსტატის ინფორმაციით, მაისთან შედარებით, ივნისში 1 ლარითა და 80 თეთრითაა შემცირებული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 166.6 ლარს შეადგენს. საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი მაისში 168.4 ლარზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება საარსებო მინიმუმს სულადობის მიხედვით, მაისთან შედარებით ივნისში შემცირება აღინიშნება: **ერთსულიან ოჯახზე თანხა 166.6 ლარით განისაზღვრა, ორსულიანზე — 266.5 ლარით, სამსულიანზე — 299.8 ლარით, ოთხსულიანზე — 333.1 ლარით, ხუთსულიანზე — 374.8 ლარით, ექვსსულიანსა და მეტზე — 443.1 ლარი.**

ბაქო-ბათუმის მიმართულებით ფრენის სიხშირე იზრდება

აზერბაიჯანული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია **„ბუთა ეარვეისი“ (Buta Airways) ბაქო-ბათუმი-ბაქოს საჰაერო ხაზზე ერთ სიხშირეს ამატებს და მიმდინარე წლის ზაფხულის სანავიგაციო სეზონის განმავლობაში, 17 ივლისიდან 18 სექტემბრამდე რეგულარული რეისებს კვირაში სამი სიხშირით შეასრულებს.**

ფრენები Embraer E190, Airbus A319 და A320 ტიპის საჰაერო ხომალდებით განხორციელდება. ავიაკომპანიამ ბაქოსა და ბათუმს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესრულება მიმდინარე წელს დაიწყო. მიმდინარე სეზონზე ბათუმის მიმართულებით ჩარტერული რეისები დაინიშნა ასევე ყაზახეთიდან. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 4 ივლისის ნებართვის შესაბამისად, ყაზახური ავიაკომპანია B&K. Aero ატირაუ-ბათუმი-ატირაუს საჰაერო ხაზზე ჩარტერულ ფრენებს 6 ივლისიდან ასრულებს. ფრენები 17 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ შაბათს, (6, 13, 20, 27 ივლისი, 3, 10, 17 აგვისტო) Boeing B737-300 ტიპის საჰაერო ხომალდით ხორციელდება. ფრენები საქართველოს მიმართულებით ტურისტული ნაკადების ტრანსპორტირებაზეა ორიენტირებული.

ახალციხის მერის კომპანიები რეგიონში ტენდერებს იგებენ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინფორმაციით, ახალციხის მერ ზაზა მელიქიძესთან დაკავშირებული კომპანიები ახალციხეში ტენდერებს იგებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ახალციხის მერის და მისი ახლო გარემოცვის ბიზნესაქმიანობა გამოიკვლია. მელიქიძესთან დაკავშირებული კომპანიები ახალციხის მუნიციპალიტეტის ტენდერებში მის გამგებლად არჩევამდე არ მონაწილეობდნენ. 2015 წელს, არჩევის შემდეგ კი 15 ტენდერი მოიგეს. გაიზარდა ამ კომპანიებთან გაფორმებული პირდაპირი შესყიდვების რაოდენობაც — 21 შესყიდვიდან 11-ში კონტრაქტორები სწორედ ახალციხის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირები არიან

მერად არჩევის შემდეგ ზაზა მელიქიძემ კუთვნილ კომპანიებში დირექტორებად საკუთარი ცოლისდა და ცოლისძმა, ყოფილი ფინანსური მენეჯერი კი მერიაში პირველ მოადგილედ დანიშნა. ახალციხის მერის ზაზა მელიქიძის კუთვნილი და ყოფილი კომპანიების მიერ სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებული თანხების ოდენობა მელიქიძის ახალციხის გამგებლად, შემდეგ კი მერად არჩევის შემდეგ 124 793 ლარიდან 546 044 ლარამდე გაიზარდა, მათ შორის, 524 902 ლარი კომპანიებმა ახალციხის მუნიციპალიტეტიდან მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ზაზა მელიქიძე ახალციხის ჯერ გამგებლად, შემდეგ კი მერად „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა, მას და მისი ოჯახის წევრებს „ქართული ოცნებისთვის“ თანხა არ შეუწირავთ. ზაზა მელიქიძე მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ შემწირველებში ფიქსირდება. მან 2012 წლის 17 ივლისს მაშინდელ მმართველ პარტიას 50 ათასი ლარი შესწირა.



ДАВИТГАРЕДЖИС САКИТХЗЕ ГИДЕБМА САКАРТВЕЛОС САГАРЕО УГЧУЕБАС МИМАРТЕС

ДАВИТГАРЕДЖИС საკითხზე გიდები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დღეს მიმართავენ. გიდის რუსუდან ჯაფარიძის თქმით, მათ სურთ, ჰყავდეთ მუდმივმოქმედი წევრი და ჰქონდეთ ინფორმაცია, რა ხდება მოლაპარაკებების პროცესში.

— ჩვენ არ ვართ დაინტერესებული ქვეყანაში დესტაბილიზაციით, დიპლომატიურად უნდა მოგვარდეს პრობლემა. გავაკეთებთ მოთხოვნას, რომ გვყავდეს მუდმივმოქმედი წევრი და გვქონდეს ინფორმაცია, რა ხდება მოლაპარაკებების პროცესში, რა ეტაპზეა და რას უნდა ველოდოთ. ვითხოვთ არა რაიმე საიდუმლო ინფორმაციას, არამედ რისი ცოდნის უფლებაც გვაქვს, იმის ფარგლებში, რომ ჩავერთოთ გიდები, რადგან ეს ყველას ინტერესშია...

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც ასახულია, რომ დავითგარეჯში, სასაზღვრო მონაკვეთზე მესაზღვრეებსა და ადგილობრივებს შორის მცირე ინციდენტი მოხდა. დავითგარეჯში მომუშავე გიდის ინფორმაციით, კონფლიქტის მიზეზი აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მხრიდან ეკლესიიდან ხატების უნებართვოდ გატანა გახდა, რამაც ადგილობრივების პროტესტი გამოიწვია. თუმცა, მისივე თქმით, პრობლემა მალევე მოგვარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საზოგადოებას, სამოქალაქო ჯგუფებს, მისცენ საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიებს მშვიდ ვითარებაში მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა.

ДАВИТГАРЕДЖИ ДАВИТГАРЕДЖИС ПАТАРА ТЕРИТОРИАЗЕ ДАВИТГАРЕДЖИС ПАТАРА ТЕРИТОРიაზე ამ დროისთვის აბსოლუტური სიმშვიდეა. ადგილზე მცირე ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რომელიც მოლაპარაკების შედეგად დასრულებულია, — ამის შესახებ დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა,

დეპუტატი აღნიშნავს, რომ აუცილებელია, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიას მშვიდ ვითარებაში მუშაობის საშუალება ჰქონდეს.

— საზოგადოების ყველა მხარეს, რომელიც ჩართულია ამ მოლაპარაკებაში, მინდა, მივმართოთ, რომ კომისიას, რომელიც შექმნილია დემარკაცია-დელიმიტაციისთვის ამ ორ ქვეყანას შორის, მივცეთ საშუალება, მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში მიაღწიონ შეთანხმებას, რაც საბოლოო ჯამში, ამ ორი პარტნიორი ქვეყნის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გადასაწყვეტია, რისი მაღალი მოლოდინიც გვაქვს. ვიმედოვნებთ, მსგავსი ტიპის ინციდენტები მოლაპარაკებებს ხელს ვერ შეუშლის და საზოგადოება ამ საკითხს პრაგმატულად უნდა მიუდგეს, რათა დემარკაციის პროცესს ხელი არ შეეშალოს“, — განაცხადა მაჭარაშვილმა.

მისი თქმით, დემარკაციის პროცესი ხანმოკლე არ არის და ეს საკითხი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იდგა.

თბილისში განათლების ქალაქი შენდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე თბილისში განათლების ქალაქის მშენებლობის პროცესს გაეცნო. დიდი დილმის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები მან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან ერთად დაათვალიერა.

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, თბილისში განათლების ახალი ქალაქის მშენებლობა შემოდგომაზე დასრულდება.

მთავრობის მეთაურმა მოისმინა განათლების ქალაქის მშენებლობის პროცესის შესახებ და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები საქართველოს ყველა მსხვილ ქალაქში განხორციელდება.

„მაისში დავაანონსეთ დიდი დიღმის ტერიტორიაზე განათლების ახალი ქალაქის მშენებლობა. ეს არის 13 ჰექტარი ტერიტორია, სადაც აშენდება საშუალო სკოლა 1 500 ბავშვზე. აქვე იქნება კომაროვის სკოლა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ყველაზე თანამედროვე ლაბორატორიები. ასევე გვექნება ახალი პროფესიული სასწავლებელი და ხელოვნების სკოლა. ჩვენ მსგავს პროექტს ვახორციელებთ ბათუმშიც და ავაშენებთ საქართველოს ყველა მსხვილ ქალაქში. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყველგან იყოს ხელმისაწვდომობა თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე, როდესაც ვსაუბრობთ ჩვენი ბავშვების მომავალზე.

განათლების ქალაქი თანამედროვე სტანდარტების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ერთად მოიცავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებს, ტექნოპარკს, რომელშიც „სტარტაპ“ უნარ-ჩვევებს მოსწავლეები ადრეული ასაკიდან განავითარებენ, ბიბლიოთეკას, სამეცნიერო ლაბორატორიებს, კომაროვის ახალ სკოლას, ხელოვნების სკოლას, საკონფერენციო დარბაზებს, შიდა სარეკრეაციო სივრცეს, სპორტულ დარბაზსა და გარე მოედნებს.

განათლების ქალაქის პროექტის ღირებულება 20 მილიონ ლარამდეა. მშენებლობის პროცესში ეკოლოგიურად სუფთა, ბიოლოგიურ სამშენებლო მასალას გამოიყენებენ. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო დაწესებულებები ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

ამერიკელი ჟურნალისტები საქართველოს ეწვივნენ

ТУРИЗМИС ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტები რიჩარდ ჯონსონ ბენგსი და ლორა ჰუბერი საქართველოს ეწვივნენ.

ამერიკელი ჟურნალისტები საქართველოში კავკასუს თრეველის მოწვევით ჩამოვიდნენ.

რიჩარდ ჯონსონ ბენგსი Expedia-ს და Steller-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია და ამერიკის საზოგადოებრივ ტელეარხზე (APT) გადაცემების „Richard Bangs Quest“ და „Richard Bangs Adventures with Purpose-ის წამყვანია. სამოგზაურო ჟურნალისტი ლორა ჰუბერი BBC-ის UPN-ისა და Travel Channel-ის პროდიუსერია. ამერიკელ ჟურნალისტებს თბილისში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი და კავკასუს თრეველის დამფუძნებელი საბა კიკნაძე შეხვდნენ.

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ ვუმასპინძლოთ საქართველოში ისეთ გავლენიან ჟურნალისტს, როგორიც არის რიჩარდ ჯონსონ ბენგსი, რომელიც მსოფლიო ბრენდის Expedia-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია. ასეთი რანგის სტუმრების ჩამოყვანა ხელს უწყობს საქართველოს ცნობადობის გაზრდას, ასევე კარგი საშუალებაა, შევატყობინოთ ყველას, რომ საქართველო არის და იქნება უსაფრთხო ტურისტული მიმართულება. ყოველივე ეს გააძლიერებს ჩვენს სტრატეგიულ ბაზრებზე, ამერიკასა და ევროპაში საქართველოს პოზიციონირებას“, — განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

პრეს-ტურის ფარგლებში ამერიკელი ჟურნალისტები მცხეთას, ბოდბეს, სიღნაღს, წინანდალს, ანანურს, გუდაურს, სტეფანწმინდას, გორს, უფლისციხეს, ქუთაისს, წყალტუბოს, ზუგდიდსა და მესტიას მოინახულებენ და საქართველოს შესახებ სტატიებსა და გადაცემას მოამზადებენ.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოდის ქართული ღვინო, რომელსაც ფანტასტიური შეფასება აქვს. ვფიქრობ ამერიკელ ტურისტებს საქართველოში დააინტერესებთ კავკასიონის მთები, ტურისტული ბილიკები, მათთვის საინტერესო იქნება სათავგადასავლო ტურები, ისეთი როგორიც არის ჯომარდობა. საკმაოდ მიმზიდველი ქვეყანა გაქვთ ტურისტებისთვის. საქართველოში მოხვედრა რთული არ არის. საქართველოს მიმართულებით მსოფლიოში ცნობილი ბევრი ავიაკომპანია დაფრინავს. თქვენს ქვეყანაში ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია, გაქვთ სტაბილურობა და რაც მთავარია, ლამაზი ქვეყანა, რაც კარგი პირობაა ტურისტების მოსაზიდად“, — განაცხადა Expedia-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა რიჩარდ ჯონსონ ბენგსმა.

ბათუმის ბულვარში პირველადი სამედიცინო დახმარების 30 ყუთი განთავსდა

გუშინ ბათუმის ბულვარსა და ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ერთობლივი პროექტის ფარგლებში ბათუმის ბულვარში პირველადი სამედიცინო დახმარების (First Aid) 30 ყუთი განთავსდა. პროექტის მიზანს სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა და მოქალაქეებში პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარების შესწავლა წარმოადგენს. აღნიშნული კამპანიის მთავარი გზავნილია „5-დან 4 ადამიანს არ შეუძლია გადაარჩინოს სიცოცხლე — შეცვალე სტატისტიკა“.

მოხალისეებს ტრენინგს ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის First Aid-ში TOT მოდულით გადამზადებული სპეციალისტები ჩაუტარებენ. ტრენინგის შემდგომ გადაეცემათ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ყუთის კოდი, რისი მეშვეობითაც სამედიცინო მასალებით პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას შეძლებენ.



ამერიკაში დოლარის გასაუფასურებლად ემზადებიან, რას მოუტანს ეს ლარს?

ვაშინგტონში ამერიკული დოლარის გაუფასურებისთვის ემზადებიან. როგორც ჩანს, მსოფლიოში უმთავრესი ვალუტის გამყარების რამდენიმეწლიანი ხანა დასრულდა და ახლა აშშ საპირისპირო გზას დაადგება. **რა შეიცვლება დოლარის დევალვაციის შედეგად ლარის კურსთან დაკავშირებით?**

აშშ-ის პრეზიდენტს აწუხებს ის, რომ დოლარის გაძლიერება საფრთხეს უქმნის მის ეკონომიკურ გეგმებს. ეს თემა განიხილებოდა **ტრამპის** ფედერალური სარეზერვო სისტემის ორ ახალ მაღალჩინოსანთან შეხვედრის დროს – **ჯუდი შელტონთან** და **კრისტოფერ უოლერთან**. პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ძლიერი დოლარი აფერხებს ეკონომიკურ ბუმს, რომელიც, მისი გათვლებით, უნდა დაეხმაროს მას საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

თუმცა, საკითხი ჯერ არაა ბოლომდე გადაწყვეტილი, რადგან პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი **ლარი კადლოუ** და ფინანსთა მინისტრი **სტივენ მნუჩინი** არ ემხრობიან რაიმე ხელოვნურ ჩარევას დოლარის კურსში.

არავისთვის არაა საიდუმლო და არც თავად პრეზიდენტი მალავს, რომ იგი მიიჩნევს აუცილებლად დოლარის კურსის შემცირებას. თუმცა, ამერიკულ ვალუტაზე მოთხოვნა კვლავ განაგრძობს ზრდას და ამის წინააღმდეგ ტრამპი ვერაფერს აკეთებს.

უოლ-სტრიტის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სავარაუდოდ, ტრამპი დაიწყებს პრაქტიკულ მოქმედებებს დოლარის კურსის შემცირების მიზნით. პრეზიდენტის აზრით, სუსტი ვალუტები ახალისებენ სხვა ქვეყნების ექსპორტიორებს, ხოლო ძლიერი დოლარი ხელს უწყობს შტატებში იმპორტის ზრდას.

ქართველი ანალიტიკოსების შეფასებით, არასტაბილური დოლარი გამოიწვევს გაურკვევლობას, შიშს და უნდობლობას აშშ-ის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი. რაც შეეხება ამ პროცესის ლარზე გავლენას, ბაზრის მკვლევარის **ნიკა შენგელიას** აზრით, ქართული ვალუტისთვის გამყარების ახალი შესაძლებლობა გაჩნდება.

ქართველი ფინანსისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დოლარის გაუფასურებით ლარი ცოტათი ამოისუნთქავს, თუმცა არსობობს სხვაგვარი მოსაზრებაც. საკონსულტაციო კომპანია PMCG-ს გენერალური დირექტორი **ლექსო ალექსიშვილის** აზრით, იმ შემთხვევაში თუ დოლართან მიმართებით ამერიკის ადმინისტრაცია დევალვაციის გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს პროცესი ლარზე არ აისახება – არც ნეგატიურად და არც პოზიტიურად. ამის მიზეზად იგი საქართველოს მცირე ეკონომიკას ასახელებს.

„საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები არ არის ამერიკასთან უშუალო კავშირში. მისი სავაჭრო ურთიერთობები არის აშშ-ის სავაჭრო პარტნიორებთან კავშირში და, ბუნებრივია, როცა სავალუტო კურსს უყურებ, უნდა შევხედოთ არა ნომინალურ კურსს, არამედ რეალურ გაცვლით კურსს. რეალური გაცვლითი კურსის თვალსაზრისით ყალიბდება საბოლოო ჯამში ეს მდგომარეობა. ჩვენი რეალური გაცვლით კურსის შემხედვარე, არ გვაქვს გაუფასურებული ვალუტა. ჩვენ ვუყურებთ დოლართან მიმართებაში ნომინალურ კურსს, მაგრამ, თუ შევხედავთ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში, როგორიც არის მაგალითად თურქეთი, რუსეთი და სხვები, ამ ვითარებაში ლარი გაუფასურებული არ არის.

ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თუ დოლარის დევალვაცია მოხდება, ეს კარდინალურად შეცვლის მის სავალუტო კურსს სხვა ვალუტებთან დაკავშირებით – ეს ასე არ მოხდება. ამის მოლოდინები არ უნდა გვქონდეს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი: ჩვენი ეკონომიკა უნდა იყოს ძლიერი, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ფუნდამენტური ეკონომიკური საფუძვლები როგორიც არის ექსპორტის მდგომარეობა, ეკონომიკური სტაბილურობის მდგომარეობა, წარმოების დონე და ა.შ. იყოს მაქსიმალურად გაზრდილი. ამას უნდა მივაქციოთ არსებითი ყურადღება. ის რომ ამერიკა შეცვლის თავის სავალუტო გაცვლით კურსს ჩინეთის იუანთან მიმართებაში, ეს ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ იძენს“, – განუცხადა „კომერსანტს“ ალექსიშვილმა.

ქართველი ანალიტიკოსების მეორე ნაწილის შეფასებით, ქართული ვალუტისთვის გამყარების ახალი შესაძლებლობა გაჩნდება. „ფინექს 1970“-ის ანალიტიკოსი ნიკა შენგელია ამბობს, რომ თუკი დოლარის დევალვაცია მოხდება, ეს სხვა ქვეყნების ვალუტებს, მათ შორის, ლარს გაამყარებს.

„ამ ნაბიჯით აშშ მნიშვნელოვნად წაახალისებს ექსპორტს, ქვეყანაში ჩინეთიდან დიდი რაოდენობის იმპორტი შედიოდა, რომელსაც გარკვეული სანქციები დაუწესეს. ამ შემთხვევაში დევალვაცია გამოსავალი იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ვალუტა ამით შვებას იგრძნობს. სავარაუდოდ, აშშ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს არის მცდელობა, ჰქონდეს სუსტი ვალუტა და გაზარდოს ექსპორტი, რათა მსოფლიოში, ძირითადად, ამერიკული საქონელი იყიდებოდეს. ტრამპის გადაწყვეტილების მოტივია, რომ ქვეყანამ საექსპორტო ნიშა არ დაკარგოს და მაქსიმალურად შეინარჩუნოს“, – აცხადებს შენგელია.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედ ლარის კურსს, ანალიტიკოსის შეფასებით, მან დაკარგა სტაბილურობის იმიჯი, რითაც ძირითადად მოსახლეობა და მცირე ბიზნესი ზარალდება.

ბექა დანელია

საგანგაშო სტატისტიკა: ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ქართულ ეკონომიკაში 65%-ია!

„ჩრდილოვანი ეკონომიკა“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოწვევაა. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც „არაფორმალურ ეკონომიკას“, „ფარულ ეკონომიკას“, „შავ ეკონომიკას“. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევების მიხედვით დგინდება, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

წლების წინ ეკონომიკის სამინისტროში არსებობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სამმართველო, რომელიც უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობდა, თუმცა ის გაუქმდა. მიმდინარე წელს კი სტატისტიკის ეროვნული სამსახური არაკანონიერი საქმიანობის შედეგებს გამოაქვეყნებს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა – პროსტიტუცია და ნარკომანია. 2019 წელს „საქსტატი“ ეროვნული ანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე გადადის, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს ისახავს მიზნად.

„საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის **გოგიტა თოდრაძის** თქმით, ეს მონაცემები მიმდინარე წლის 15 ნოემბერს გამოქვეყნდება.

„მიმდინარე პერიოდში უკვე დავიწყეთ დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევები, ანუ ისეთი საქმიანობის კვლევები, რომელიც არის აღურიცხავი. ვგულისხმობთ, ჩრდილოვანი ეკონომიკის დარგებს. მაგალითად, შეიძლება რომელიმე კონკრეტულ სექტორში უფრო მეტი იყოს წარმოებული, მაგრამ აქამდე მხოლოდ გარკვეული ნაწილის დეკლარირება ხდებოდა. ეს გამოკვლევები კი იმას ემსახურება, რომ უფრო ზუსტად შევაფასოთ ჩრდილის მოცულობა. განახლებული, გაუმჯობესებული მონაცემები კი 15 ნოემბერს გამოქვეყნებულ ეროვნულ ანგარიშებში უკვე იქნება ასახული. ამასთან, გვინდა 15 ნოემბრიდან ჩვენს ანგარიშებში ავსახოთ არაკანონიერი საქმიანობის შედეგებიც, როგორიცაა, მაგალითად, პროსტიტუცია და ნარკომანია. ამის შეფასება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება და მოდელის შემუშავებაზე ვმუშაობთ“, – აღნიშნა თოდრაძემ.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, აღნიშნულია, რომ ბოლო ექვს წელიწადში საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

თუ 2012 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 72% იყო, 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-სთან მიმართებაში 64.9%-ია.

სპეციალისტების ნაწილი, ჩრდილოვან ეკონომიკასა და არაფორმალურ ეკონომიკას ერთმანეთისგან აცალკევებენ. თუ ჩრდილოვანი ეკონომიკა საკუთარ თავში მოიაზრებს ყველა დაურეგულირებელ, მათ შორის, კანონით აკრძალულ დარგში აკუმულირებულ თანხებსა და დასაქმებულ ადამიანებს, არაფორმალური ეკონომიკა მხოლოდ აღურიცხავ საქმიანობას აფასებს.

სწორედ არაფორმალურ ეკონომიკას უკავშირებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

„ჩრდილოვანი ეკონომიკის გასაზომად სხვადასხვა ორგანიზაციები განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ. ჩვენ ძირითადად ქვეყნის ოფიციალურ მონაცემებს ვეყრდნობით, რომელსაც სტატისტიკის სამსახური ფლობს. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 10%-ის ფარგლებშია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ის არ მოიცავს არაფორმალური ეკონომიკის წილს. მაგალითად, ვიცით, რომ საქართველოში სოფლად საკმაოდ ბევრი ადამიანი აწარმოებს საკვებ და სხვა სახის პროდუქტს. სავალუტო ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ე.წ. სამუშაო კვლევა. კვლევის შედეგები არ ემთხვევა ჩვენს მონაცემებსა და პოზიციას. აღნიშნულ კვლევაში გაზომილია არაფორმალური ეკონომიკის წილიც“, – ამბობს **მერსედეს ვერა მარტინი.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტაქსის მძღოლებს დედაქალაქში აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზიის აღების ვალდებულება გაუჩნდათ. ამ ცვლილების შედეგად, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი შემცირდება.

ასევე, ჩრდილოვანი ეკონომიკა ნაკლებია ისეთ გარემოში, სადაც გადასახადების მოცულობა და ადმინისტრაციული პროცესები მცირე ზომისაა. ეს როგორც ბიზნესს, ისევე მოსახლეობას, არ უბიძგებს იმისკენ, რომ თავიანთი საქმიანობა ჩრდილში აწარმოონ. თუმცა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები იდგმება. საქართველოში საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში დაახლოებით, 25%-ია, რაც საკმოდ კარგი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლებელია და ვიცით, რომ მთავრობა გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებაზე მუშაობს რაც მათ მობილიზებას ამარტივებს.

მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის ჩრდილოვანი ეკონომიკა შვეიცარიას 7,2%, ამერიკის შეერთებულ შტატებს 8,3% და ავსტრიას 8,9% აქვს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, იქ არსებული მონაცემები საქართველოზე უკეთესია – აზერბაიჯანში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 52.19%-ია, სომხეთში 42.59%, თურქეთში 31.38%, ხოლო რუსეთში კი 39.73%.

BFM

ნამდვილად აღსანიშნავია ახალგაზრდა მეცნიერის, პროფესორ **გიორგი გოგიაშვილის** ნაყოფიერება. მან უკვე რამდენიმე საყურადღებო წიგნი გამოსცა იურიდიული და, კერძოდ, კონსტიტუციური სამართლის განხრით. ამ დღეებში გამომცემლობა „იურისტების სამყარომ“ მკითხველს მიაწოდა პროფესორ გ. გოგიაშვილის კიდევ ერთი ახალი წიგნი, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, იურისტებისთვის და ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტების პროფესიული დაოსტატების ხელშესაწყობად.

პროფესორ გიორგი გოგიაშვილის ახალი წიგნის – „შედარებით კონსტიტუციური სამართალი“ რედაქტორია ცნობილი იურისტი მინდია უგრეხელიძე.

ავტორმა თავისი ახალი წიგნი ძვირფასი მამის ხსოვნას მიუძღვნა. მკითხველს ვთავაზობთ სამართლის დოქტორის, პროფესორ მიხეილ ბიჭიას გამოხმაურებას ზემოხსენებული წიგნის შესახებ.

საფუძვლიან ცოდნაზე დამყარებული წიგნი საფუძვლიანი ცოდნის გასაღრმავებლად

ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესია წიგნის გამოცემა როგორც ეროვნული იურიდიული ლიტერატურის გამდიდრების, ისე ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა კიდევ უფრო აქტუალურია, როცა საქმე ეხება შედარებით სამართალს, რომელშიც აშკარაა ქართულ ენაზე შექმნილი ნაშრომების სიმწირე. ასევეა შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სფეროც, რომელშიც ქართულენოვანი იურიდიული ლიტერატურა სიმდიდრით არ გამოირჩევა. ამასთან, ბოლო წლების საკანონმდებლო ცვლილებები და თანამედროვე გამოწვევები, თავის მხრივ, ახალ ამოცანებს უყენებს ნაშრომებს. ამ გაგებით, სტუდენტი ახალგაზრდობისა და მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ გიორგი გოგიაშვილის სახელმძღვანელოს გამოცემა შედარებით კონსტიტუციურ სამართალში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ვარ კერძო სამართლის სპეციალისტი და ნაკლებად კომპეტენტური კონსტიტუციურ სამართალში, თუმცა შეძლებისდაგვარად ვინტერესდები ხოლმე კონსტიტუციურ-სამართლებრივი კვლევებით, ვინაიდან კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებები გამოიყენება სამოქალაქო სამართალშიც. ამ გაგებით, საინტერესოა ნაშრომები, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს ძირითადი უფლებები კერძო სამართალში – პირდაპირი თუ ირიბი ფორმით. შემიძლია, ჩემი, როგორც კერძო სამართლის სპეციალისტის, შეხედულებები გაგიზიაროთ.

1. დასაწყისში მიზანშეწონილია, ორიოდე სიტყვით აღინიშნოს უშუალოდ ავტორის შესახებ, ვინაიდან ეს, თავის მხრივ, ღირებული ნაშრომის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა. ავტორის საქმიანობა შეიძლება გაიყოს ორ მიმართულებად:

პირველ რიგში, აღსანიშნავია ბ-ნი გიორგი გოგიაშვილის მოღვაწეობა **თეორიაში.** ის გახლავთ კონსტიტუციონალისტი, რომლის სამეცნიერო ბიოგრაფია მდიდარია. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ურთულეს თემაზე – „ფედერალიზმის ცნება და არსი“, მოგვიანებით კი გამოსცა ნაშრომები „შედარებითი ფედერალიზმი“, „სამოსამართლო სამართალი“, „შედარებითი კონსტიტუციონალიზმი“ და სხვა. ამავე დროს, საყურადღებოა პროფესორ გიორგი გოგიაშვილის მოღვაწეობა კონსტიტუციურ სამართალში. საქმე ისაა, რომ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ათ წელზე მეტს ითვლის, რაც ერთიორად ზრდის კიდეც მის ნაშრომთა ღირებულებას. ფაქტობრივად ბ-ნი გიორგის ინტელექტუალურ-შემეცნებითი საქმიანობის ლოგიკური გაგრძელების შედეგია შედარებით კონსტიტუციურ სამართალში აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა.

არანაკლებ საგულისხმოა ბ-ნი გიორგი გოგიაშვილის **სამოსამართლო საქმიანობა** თბილისის სააპელაციო სასამართლოში. პრაქტიკაში მოღვაწეობა ფაქტობრივად ეხმარება მას, ნაშრომში თვალსაჩინოდ ასახოს პრობლემათა პრაქტიკული მხარე და სამოსამართლო სამართლის ძირითადი საფუძვლები. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, ვინაიდან სარეცენზიო სახელმძღვანელო შექმნა სწორედ უშუალოდ კონსტიტუციურ სამართალში ჩახედულმა მკვლევარმა, რაც ნაშრომის ღირებულებასაც განაპირობებს.

2. რაც შეეხება **უშუალოდ ნაშრომს**, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული იურიდიული საზოგადოება არაა შედარებითსამართლებრივი კვლევებით განებივრებული. საქმე ისაა, რომ ერთია ეროვნული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე ნაშრომის შექმნა, ხოლო მეორეა შედარებითსამართლებრივი კვლევის, კერძოდ, სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც, შიდაეროვნულთან შედარებით, მრავალკომპონენტიანია.



რამდენადაც ცნობილია, შედარებითი მეთოდის მიზანია, სახელმწიფოთა კანონმდებლობების, სამართლებრივი ცნებების, მოვლენებისა და პროცესების შესწავლის შედეგად გამოავლინოს მათ შორის განმასხვავებელი თუ თანმხვედრი წერტილები. შესადარებელი ობიექტებიც უნდა იყოს დადარებადი ხარისხის, მოცულობის, შინაარსისა და ნიშნების მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შედარებით სამართალს რამდენიმე ფუნქცია აქვს. მათგან ერთ-ერთია ეროვნული სამართლის საფუძვლების შესწავლა. საქმე ისაა, რომ საკუთარი სამართლის ღრმა ცოდნა არის მისი სხვა ქვეყნების სამართალთან ადვილად შედარების წინაპირობა. შესაბამისად, შედარებითი სამართალი ემსახურება ეროვნული სამართლის უკეთესად გაგებას.

ამავე დროს, შედარებითი სამართლის ამოცანაა თანამედროვე მსოფლიოს სამართლის გლობალიზაცია, უკეთესი ცოდნის ძიება და ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესება. ის გვეხმარება სხვა ქვეყნების მსოფლმხედველობათა გაგებაში, ურთიერთობების მოწესრიგებაში ჰარმონიული თანაარსებობის გზით, რაც თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისა და პროგრესის წინაპირობაა. ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ კომპარატივისტების თავდაუზოგავი საქმიანობა მიმართულია საკუთარი სამართლის კრიტიკული კვლევისა და უცხოური სამართლის მუდმივი შესწავლისკენ. შედარებითი სამართლის ფუნქციებიდან გარკვეულწილად თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს კანონების გაუმჯობესება და სამართლის უნიფიკაცია. სახელდობრ, შედარებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა როგორც ჰარმონიის ძიება, ისე უნიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, შედარებითი სამართლის ოთხი ძირითადი ფუნქციაა:

1. მართლშეგნების ამაღლება და სამართლებრივი ცოდნისა თუ თვალსაწიერის გაფართოება;

2. ისეთი საფუძველგანმსაზღვრელი პრინციპების მოძიება, რომელთა დახმარებით საკუთარი სამართლის ღრმად გაგება შეიძლება, ზოგჯერ კი საკუთარი ეროვნული მიდგომების გაუმჯობესების მიღწევაც. ამდენად, შედარებითი კვლევების მიზანია, შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომები მოქმედი კანონმდებლობების განმარტების მიმართ, მათ შორის ეროვნულ სასამართლოებში;

3. საკუთარი სამართლებრივი სისტემის რეფორმირება და დახვეწა;

4. ტრანსნაციონალური უნიფიკაცია ან სამართლის ჰარმონიზაცია, კერძოდ, მოდელური კოდექსების შექმნით.

ამდენად, შედარებითსამართლებრივი სახელმძღვანელოების შექმნა მრავალასპექტიანი პროცესია. ეროვნული სამართლის კვლევასთან შედარებით, შედარებითსამართლებრივი ნაშრომი მოიცავს უფრო მეტ კომპონენტს, რომლებიც ფართო დატვირთვისაა. აქ აუცილებელია, გარდა ნაციონალური სამართლის კარგად ცოდნისა, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითებით მსჯელობა და მათ სამართალთან შედარების მეშვეობით ახალი შედეგის – დასკვნის – წარმოდგენა, რაც უდავოდ საინტერესო უნდა იყოს როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

ავტორმა ნაშრომში განიხილა კონსტიტუციური იდეის განვითარების სხვადასხვა თავისებურება, კონსტიტუციის გამოყენების ძირითადი ეტაპები, მმართველობის მოდელები, საპარლამენტო სამართალი, სახელმწიფო ენა და ეთნიკური უმცირესობები, ფედერალიზმის კონცეფცია და სხვა. მმართველობის მოდელების ფარგლებში ბ-ნი გიორგი გამოკვეთს, პირველ რიგში, საპარლამენტო რესპუბლიკის სპეციფიკას, შემდეგ კი – საპარლამენტო რესპუბლიკისა და შერეული მოდელების ძირითად თავისებურებებს. აქვე საგანგებოდ განხილულია საქართველოს მოდელი. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის სისტემებს, პრობლემა დახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითების მიხედვით.

ასევე, საინტერესოა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ეხება კონსტიტუციისა და სამოქალაქო სამართლის ურთიერთდამოკიდებულებას, ანუ იმას, თუ როგორია კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებების მოქმედება კერძო სამართალში. ამ კუთხით დასადგენია ძირითადი უფლებების სფეროს განხორციელების პრობლემები: უნდა უზრუნველყოფდეს თუ არა სახელმწიფო ძირითადი უფლებების რეალიზაციას კერძო ურთიერთობებში? მოიცავს თუ არა კონსტიტუცია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს?

საქმე ისაა, რომ კანონმდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ-ის) ღირებულებითი წესრიგის საზომად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციას (სსკ-ის მე-2 მუხლი), რომელიც განსაზღვრავს კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს. ძირითადი უფლებების მომწესრიგებელი ნორმა არეგულირებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას, ხოლო კერძოსამართლებრივი უფლება გამოიყენება კერძო პირებს შორის ურთიერთობაში. ამასთან, ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა, რომელსაც ევალება ამ ძირითადი უფლების უზრუნველყოფა. აღნიშნულის დაკისრება კერძო პირისთვის გაუმართლებელი იქნებოდა, ვინაიდან მას არა აქვს სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილება. რაც შეეხება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, აქ კერძო უფლების ადრესატი არის კერძო პირი; კერძო ავტონომიაზე ვრცელდება მხოლოდ კერძო სამართლის წესები, ანუ, როგორც აღნიშნავენ, კერძო სამართლის სფეროში პირადი არჩევანის თავისუფლება მეფობს. შესაბამისად, ძირითადი უფლებების მიზანია, შებოჭოს საჯარო ხელისუფლება ინდივიდის უფლებების უზრუნველსაყოფად. არის გამონაკლისებიც, როცა კონსტიტუციით დაცული უფლებები მოქმედებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც. თუმცა ეს ზემოქმედება ატარებს არა უშუალო, არამედ ევენტუალურ ხასიათს. კონსტიტუციური უფლებების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ძირითადი უფლებების გამოყენებით უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების ირიბ მოქმედებას. ბ-ნი გიორგი გოგიაშვილიც ნათლად გამოკვეთს, რომ ინდივიდის უფლებები დაცულია სახელმწიფო ხელისუფლებისგან (და არა კერძო პირებისგან). შესაბამისად, კონსტიტუციურ უფლებებს არა აქვთ პირდაპირი (ჰორიზონტალური) მოქმედების ძალა. ასევე, სარეცენზიო სახელმძღვანელოს ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ იძლევა პირდაპირ პასუხს სამოქალაქო სამართალში ძირითადი უფლებების მოქმედების თავისებურებების შესახებ. თუმცა აქვე სამართლიანად დასძენს, რომ თავისუფლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რაც უნდა გაითვალისწინოს როგორც სასამართლომ სამართლის განმარტების სტადიაზე, ისე კანონმდებელმაც კერძო სამართლის ნორმების დადგენისას.

გარდა ამისა, ნაშრომში ცალ-ცალკე კარებადაა გადანაწილებული შემდეგი საკითხები: სახელმწიფო ენა და ეთნიკური უმცირესობები, სამართლის განსაზღვრულობის პრობლემა ინგლისურ და კონტინენტურ სისტემებში, მოსამართლე და კანონი. ისინი, ჩვეულებრივ, აქტუალურია სხვა სფეროებისთვისაც, როგორიცაა: სამართლის თეორია, სამართლის ფილოსოფია, სამოსამართლო სამართალი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან შედარებით სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს სამართლის ისტორიასთან, სამართლის სოციოლოგიასთან, სამართლის ფილოსოფიასთან. შესაბამისად, ბ-ნი გიორგის ნაშრომი არაა მხოლოდ კონსტიტუციური სამართლის სფეროთი შეზღუდული და შეიძლება, საინტერესო გახდეს სამართლის სოციოლოგების, ფილოსოფოსებისა თუ სხვა სფეროს წარმომადგენელთათვისაც.

დასასრულ, ქართული იურიდიული ლიტერატურა, განსაკუთრებით შედარებითსამართლებრივი კვლევები, ძალიან მწირია. მახსენდება რამდენიმე ნაშრომი შედარებითი სამართლის სფეროში: ცვაიგერტისა და კოტცის ორტომეული სახელწოდებით „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ჟან პრადელის „შედარებითი სისხლის სამართალი“, მარკ ტაშნეტის „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები.“ ახლა გამოიცა ბ-ნი გიორგი გოგიაშვილის ავტორობით სახელმძღვანელო „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“. მიმაჩნია, რომ ეს, როგორც ფაქტი, მოვლენა, უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის და ქართული იურიდიული ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ვულოცავ სდასუ-ს პროფესორს, ბ-ნ გიორგი გოგიაშვილს ამ წარმატებას, ვუსურვებ მისთვის ჩვეული შემართებითა და მეცნიერული წიაღსვლებით დატვირთული კვლევების შედეგად მოპოვებულ შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე.

მიხეილ ბიჭია,
სამართლის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, ადვოკატი.

14. წითელას ბოლოდროინდელი აფეთქებები

კი გაიშვირა თითი ტრამპმა ფარმინდუსტრიისკენ, კი დაადანაშაულა ისინი მკვლელობებშიც, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამის იქით საქმე არ წასულა. იმდენად დიდია მილიარდერების და ფარმკომპანიების ძალა და ზეგავლენა ამერიკის მთავრობაზე და, პირადად, პრეზიდენტზეც, რომ ისევე, როგორც წინასაარჩევნოდ გაცემული ბევრი დაპირება, ტრამპმა ვერ შეასრულა და, ალბათ, ვერც ვერასოდეს შეასრულებს – ვერც საშინაო და, განსაკუთრებით, ვერც საგარეო პოლიტიკის მიმართულებით! ვაქცინაციასთან დაკავშირებით პირიქითაც კი მოხდა – წითელას ყველაზე დიდი აფეთქება ამერიკაში ბოლო 20 წლის მანძილზე წელს აღინიშნა – 1 000 შემთხვევა ექვსი თვის განმავლობაში, ანუ 330 000 მცხოვრებზე – ერთი, სიკვდილიანობა – ნული; სხვა წლებში – 1/500 000 და 1/1 000 000-ზე იყო (ევროპაში, სადაც ბოლო 20 წლის მანძილზე ასევე ყველაზე მეტი ადამიანი დაავადდა წითელათი 2018 წელს (83 000), გარდაიცვალა მხოლოდ 72, ანუ ევროპის 740 მილიონიდან ყოველ 10 მილიონ მცხოვრებზე – ერთი!). მიუხედავად იმისა, რომ წითელას 1 000 შემთხვევა შეერთებულ შტატებში განსაკუთრებულ ყურადღებას, თითქოს, არც უნდა იმსახურებდეს (გაიხსენეთ, ანალოგიური პანიკის დათესვა 10 წლის წინ ღორის გრიპის დროს!), მაინც მაშინვე იძულებით(!) ვაქცინაციაზე დაიწყეს ლაპარაკი, რაც აღსასრულებელ დირექტივასავით არის დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ისე ჰაიჰარად ლაპარაკობენ იძულებით, სავალდებულო აცრებზე, თითქოს, ადამიანის უფლებები არც კი გაეგონოთ! მაგრამ, როგორც იტყვიან – „ძალა აღმართს ხნავს“, ხოლო „ფული ჯოჯოხეთს ანათებს“ და, ქალაქ **ნიუ-იორკის მთავრობამაც აპრილის თვეში ათასი დოლარი ჯარიმა დააწესა აცრებზე უარისმთქმელი მშობლებისთვის;** გასაჩივრებამ შედეგი არ გამოიღო – მოსამართლემ ქალაქის მხარე დაიკავა! დასაბუთება განაჩენისა – არავითარი, მხოლოდ ზოგადი ფრაზები ეპიდემიის საშიშროებაზე და ვაქცინაციის აუცილებლობაზე! ასეთია ნაქები ამერიკული დემოკრატია! ვაქცინაციის შედეგად უეცარი სიკვდილით 10 ბავშვი იღუპება ყოველ 10 000 აცრილზე, წითელაზე აცრების შედეგად – 4 ბავშვი, 15 ბავშვს გულყრები უვითარდება, 200 კი სამუდამოდ ინვალიდდება აუტიზმის შედეგად (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობის **70 მილიონზე მეტი ადამიანი (1%) აუტიზმითაა დაავადებული!** აცრების და თავად წითელას გართულებებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ დაავადების დროს 4-ჯერ ნაკლები იღუპება, ვიდრე აცრისგან, 5-ჯერ ნაკლებს უვითარდება გულყრები და, აუტიზმით გართულება თითქმის არ გვხვდება აუცრელ ბავშვებში! ამ დროს, წითელას გამო, რომლის შედეგადაც ამერიკა-ევროპაში არავინ ან 10 000 000-ში ერთი ადამიანი თუ იღუპება, ერთი ამბავია ატეხილი – ლამის სისხლის სამართლის დამნაშავეებად გამოაცხადონ ვაქცინაციის მოწინააღმდეგენი! ამ პარადოქსულ მოვლენას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ხალხის დაშინება და კიდევ ერთხელ დაშინება მთელ მსოფლიოში! მიზანი ერთია – „დიადი, ნათელი“ – დეპოპულაცია!

შეიძლება ზოგმა თქვას: ძალადობის და ჯარიმების მსგავსი არაფერი ხდება ჩვენთანო, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ იტყვის ვერავინ, თუ როდის დაგვავალდებულებენ იგივეს ჩვენც – ანტიდისკრიმინაციული კანონი თუ მიგვაღებინეს (თანაც, – ერთხმად!), ვითომ ჩვენი ჯანმრთელობისთვის გამიზნულ (სულ ხალხზე არ ფიქრობენ ყველგან!), ანუ სავალდებულო ვაქცინაციის კანონებზე გავბედავთ უარის თქმას?! ხალხზე „მზრუნველი“ სატანისტი გლობალისტების ჩანაფიქრი ბოლომდეა მისაყვანი: პლანეტის მოსახლეობა ერთ, „ოქროს“ მილიარდამდე უნდა შემცირდეს ანუ, თითქმის, 7 მილიარდი ადამიანია გასაწყვეტი, რაც, პრაქტიკულად, მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი ვაქცინაციის გზით არის შესაძლებელი – უშვილობის, სტერილობის, იმპოტენციის, კიბოს გამომწვევი, ნერვული და იმუნური სისტემის დამანგრეველი ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი ვაქცინებით და, აგრეთვე, გენეტიკურად მოდიფიცირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით (ამაზე, წერილის ბოლოს)! ამიტომაც შემოვიდა ბოლო პერიოდში ტერმინები: **ფარმაგენოციდი და ფარმაგედონი** (ჰომოსექსუალიზმის პოპულარიზაციაც ამ მიზანს ემსახურება!)!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №137-140

15. შეკითხვები დაავადებების ეროვნული ცენტრის დირექტორს ბ-ნ ამირან გამყრელიძეს

ევროპის ქრისტიანული ერები, რუსეთის ჩათვლით, განსაკუთრებით კი ქართველები, გადაშენების გზას ადგას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად ვაქცინებით გამოწვეული უმძიმესი გართულებების შესახებ არსებული უამრავი ფაქტობრივი მასალისა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბავშვობის ასაკიდანვე ამა თუ იმ ქრონიკული დაავადებითაა შეპყრობილი (განვითარებულ და მატერიალურად უზრუნველყოფილ ქვეყნებში!), რატომღაც, მაინც არავინ იღებს ხმას საკუთარი ერის დასაცავად – არც სამედიცინო, არც საზოგადოების და არც სახელმწიფო სტრუქტურებიდან. ცხადია, უპირველესად, ჯანდაცვის სფეროს ცნობილ წარმომადგენლებს, მინისტრებს და სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მოღვაწეებს ვგულისხმობ.

იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობას ვაქცინების დადებით მხარეებთან ერთად (კონკრეტულად და არა – ზოგადი ფრაზებით) სერიოზულ გვერდით მოვლენებზეც ესაუბრონ, ისევ და ისევ დაშინების პოლიტიკა გრძელდება. დაავადებების კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი **ამირან გამყრელიძე** გვარწმუნებს,

მითი და რეალობა

აცრების შესახებ და ზოგი რამ გენ-მოდიფიცირებულ კულტურებზეც

„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!

მარტინ ლუთერ კინგი

რომ **„წითელას ვერაფერი ვერ შეაჩერებს აცრების გარდა“!** და ყველას მოუწოდებს აუცილებლად აცრან ბავშვები ორჯერ – ერთი და ხუთი წლის ასაკში. შესაძლოა, მას მართლაც გულწრფელად სწამს ვაქცინაციის ეფექტურობის და არც ვაქცინების უვნებლობაში ეპარება ეჭვი (თუმცა, იგი ვალდებულია, იყოს საქმის კურსში!), მაგრამ პროპაგანდას და დაუსაბუთებელ დაშინებას ბევრად აჯობებდა, საზოგადოებაში დაგროვილი და წერილში უკვე ნახსენები კითხვებიდან ზოგიერთზე მაინც რომ იძლეოდეს იგი **კონკრეტულ პასუხს:**

1. აუცრელი ბავშვი როგორ უქმნის საფრთხეს აცრილ ბავშვს? განა აცრილი დაცული არ არის?

2. როგორც ვიცით, წითელას გადატანის შემდეგ ბავშვი წითელათი მეორედ ავად არ ხდება (იმუნიტეტი მთელი სიცოცხლე გაყვება), ხოლო **წითელაზე ორჯერ აცრილი ბავშვი** (ზოგიერთ სხვა დაავადებაზე – 3-ჯერ, 5-ჯერ და მეტჯერაც!) **ამ ავადმყოფობისგან დაზღვეულია?**

3. აცრებით გამოწვეულ სიკვდილზე და სხვა უმძიმეს გართულებებზე (აუტიზმი, ლეიკემია, რევმატოიდული ართრიტი, კრუნჩხვითი გულყრები, შაქრიანი დიაბეტი, გაფანტული სკლეროზი და სხვა) **პასუხს ვინ აგებს? კომპენსაციას ვინ გადაიხდის? რა ოდენობისას?**

4. შესწავლილია თუ არა ვაქცინაში შემავალი ქიმიკატების, შხამების, ვირუსების და კიბოს უჯრედების ზემოქმედება ახალშობილის და ჩვილის ორგანიზმზე?

5. შესწავლილია თუ არა ვაქცინების ეფექტურობა ე.წ. ორმაგი ბრმა პლაცებო-ტესტის მეთოდით, როგორც ეს წამლების შემთხვევაში ხდება?

6. თუკი აცრების შედეგად (კერძოდ, წითელას და ყივანახველას სამვალენტიანი ვაქცინებით) უფრო მეტი ბავშვი იღუპება, უფრო მეტი მძიმე გართულება ვითარდება, ვიდრე თავად დაავადების შემთხვევაში და, **აცრებით მიღებული იმუნიტეტიც 2-5 (უკეთეს შემთხვევაში, 10 წელიწადში) მაინც ისე სუსტდება, რომ ავად გახდომისგან ვეღარ გვიცავს, მაშინ რა აზრი აქვს ვაქცინაციას?**

16. „კუმ ფეხი გამოყო...“

თქვენ გგონიათ დეპოპულაციაზე მხოლოდ ამერიკაში და მხოლოდ მილიარდერები ფიქრობენ, და მათ თანამოაზრეები არა ჰყავთ, თუნდაც, ჩვენთან, გადაშენების პირას მყოფ ქართველებში?! როგორ გეკადრებათ! **„კუმ ფეხი გამოყო...“**-ს პრინციპით ჩვენ ხომ ყველაფერში თავის გამოჩენა გვიყვარს – რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებთან მიერთება იქნება ეს, თუ – აფრიკა-ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა ჩვენი „პარტნიორის“ გულის მოსაგებად და, ჩვენი ხარჯით, რა თქმა უნდა (ფულის უპრაგონო ხარჯვაში მაინც არ გვყავს ბადალი!).

ერთი, ე.წ. ცნობადი ადამიანის მიერ გამოთქმულ ყოვლად დაუჯერებელ მოსაზრებას, რომელსაც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით სათანადო გამოხმაურება არ მოჰყოლია, გვერდს ვერაფრით ვერ ავუვლი.

2019 წლის 7 აპრილს ტელეგადაცემაში „ცეცხლის ხაზი“ („მაესტროს“ არხზე) წამყვანმა ქ-მა **მაგდა ანიკაშვილმა** ისეთი „ფილოსოფიური“ კითხვა დაუსვა თანაწამყვან **ვაკა გორგილაძეს** და მიწვეულ სტუმარს – უფლებადამცველ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს,** ჩემი ყურით რომ არ მომესმინა და ჩემი თვალით არ მენახა, სხვის მონაყოლს ნამდვილად არ დავიჯერებდი.

მაგდა ანიკაშვილი: „ცოტა ისეთი, ფილოსოფიური კითხვა მაქვს და არ ვიცი, თქვენ როგორი დამოკიდებულება გექნებათ ამ კითხვის მიმართ. პლანეტის მთავარი პრობლემა დღეს არის ჭარბი მოსახლეობა და გაეროს თუ დავეყრდნობით, 2050 წელს 13 მილიარდზე მეტი ადამიანი იცხოვრებს ამ პლანეტაზე (ქართველი რამდენი იქნება იმ დროისთვის და იქნება თუ არა, საერთოდ, ამაზე კრინტს არ ძრავს! – ი.ლ.), ყოველდღიურად 250 000 ადამიანი იბადება. **ხომ არ ფიქრობთ, რომ ცოტა ისეთი, უპასუხისმგებლო მიდგომაა, როდესაც ჩვენ მარტო ვიწრო ნაციონალისტური კუთხით ვუყურებთ ამ საკითხს, რომ ქართველები ვიყოთ ბევრნი, მაშინ, როდესაც მსოფლიო ტვინები ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ შეძლონ...“**

გორგილაძე (სიცილ-ხარხარით): – „საქართველო უნდა შეეწიროს დემოგრაფიულ პრობლემას“?

ანიკაშვილი: – არა, მე მაინტერესებს... თქვენ ამბობთ, რომ ქართველები უნდა ვიყოთ ცოტა მეტნი...

ლორთქიფანიძე (ირონიული სიცილით): – „თქვენ შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზე ნამდვილად, ეტყობა, ძალიან ბევრს ფიქრობთ ამაზე.

ანიკაშვილი: – ე.ი. ამერიკელებმა უნდა იფიქრონ პლანეტის გადარჩენაზე(!) და ჩვენ – არა? აი, ეს მაინტერესებს. ეთნოკონფლიქტებზე მაღლა ხომ არ უნდა დავდგეთ და, გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ საქართველოს შვილები, **ჩვენ ამ პლანეტის შვილები ვართ და ცოტა უნდა... განვითარდეთ“!**

ანიკაშვილის რუსოფობიური პოლიტიკური პოზიცია ცნობილი იყო ჩემთვის, თუმცა, არა მისაღები, მაგრამ საღი აზროვნებიდანაც ასე შორს თუ იდგა იგი, ნამდვილად არ მეგონა. ასეთ სისულელეს თუ წამოროშავდა იგი საკუთარ ერზე, რომელსაც ანიკაშვილის „დახმარების“ გარეშეც გადაშენება ემუქრება 2050 წლისთვის (გაეროს დასკვნით), ასეთი აზროვნების ერთი ქართველი კაცი, ერთი ქართველი დედა თუ დაიარებოდა დედამიწაზე, ამას როგორ წარმოვიდგენდი! **საუბედუროდ, ამგვარი მსოფლმხედველობის ლიბერასტი ადამიანები გვყავს ყველგან,** განსაკუთრებით, ტელევიზიაში, ე.წ. არასამთავრობო სექტორში, მთავრობასა და პარლამენტში, **რომლებსაც ამერიკული ინტერესების პრიზმაში გაუტარებლად არც ერთი პრობლემის არათუ გადაჭრა, უბრალოდ, მასზე საღად აზროვნებაც არ შეუძლიათ.**

იაკობ ლეჟავა
ტ. 593-55-04-00

ანონსი:

მორიგ ნომერში – გრიპისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს ვაქცინების შესახებ



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

552
ჰაერი შეხუთულია! ფანჯრები გამოაღეთ, დაე, ეს გარედანაც იგრძნონ.

553
ვალდებულია თუ არა ყოველი ადამიანი, თავის თავში რამე ღირებულს რომ იპოვის, გაიქცეს და უახლოეს მილიციის განყოფილებას შეატყობინოს?

554
ქვეყნად ისეთი სულელი არავინ არის, რომ დროდადრო თავს არ ისულელებდეს.

555
ვინ არის, რომ სილის გაწვნის შემდეგ ლოყაზე დაჩენილ თითების ანაბეჭდებს სწავლობდეს?

556
ოჯახურ წრეს ფარგლით ვერ შემოხაზავ.

557
ზოგჯერ ღორიც კი დამცინავად ღრუტუნებს მწყემსის მიმართ: „უყურეთ, ამ მეღორესო!“

558
პროგრესი: ჩვენს წინაპრებს ნადირის ტყავი ემოსათ, ჩვენ კი ადამიანისაშიც უხერხულად ვგრძნობთ თავს.

559
რამდენ ხმად ითვლება დათვლისას ისტორიის ხმა?

560
ადამიანს ორი პროფილი აქვს – მარცხენა და მარჯვენა. და კიდევ, ორი შიგნით.

561
წერტილი კითხვის ნიშნის ქვეშ დასვი!

562
კაციჭამიებიც იხსნიან ხოლმე ადამიანებს ზვიგენის ხახიდან.

563
ნუ დაუჯერებთ ზღაპარს. ნასიმართლარია.

564
იუდეგმაც ისწავლეს ჯვრების ზიდვა.

565
ხან ქურდებსაც ადგათ შარავანდედი და სულაც არა მოპარული.

566
ფოთოლი თრთის, მითხარით ერთი, ფოთოლს რისთვისღა შეიძლება რომ პასუხი აგებინონ?

567
პირველი ადამიანი თავს მარტო არა გრძნობდა, მან ხომ თვლა არ იცოდა.

568
კაციჭამია თავს იმართლებს: „ადამიანი საქონელიაო“.

569
სახიფათო ჟამს საკუთარ თავში ნუ ჩაიმალები, იქ აუცილებლად მოგძებნიან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139

570
რამდენი გულგული უნდა შთანთქას მტაცებელმა, რომ ამღერდეს?

571
ფერფლით აღმდგარი ყველა ფენიქსი როდი აღიარებს თავის წარსულს.

572
საცოდავია, ვინც ვარსკვლავებს მანამ ვერა ხედავს, სანამ თვალებიდან ნაპერწკლები არ წამოსცვივა.

573
არიან ადამიანები, რომლებმაც ზოგიერთ ენაზე მხოლოდ „დიახ“ იციან, ზოგიერთზე კი – მხოლოდ „არა“.

574
შეუძლია თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ შეჭმულ მისიონერს, რომ თავისი მისია შესრულებულად მიიჩნიოს?

575
შენი სიზმრების მოჩვენებანი შენივე თეფშიდან სანსლავენ.

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

576
მსროლელის გამოცდილებიდან: დიდებს უფრო ძნელად ვახვედრებთ, ვიდრე პატარებს.

577
პიროვნების გაორება რთული ფსიქიკური მოშლილობაა: უთვალავი პირი, პიროვნებას რომ შეადგენენ, ამ დროს ორამდე მცირდება.

578
მანამდე მაინც დავრჩეთ ადამიანებად, სანამ მეცნიერებას არ აღმოუჩენია, რომ ვიღაც სხვანი ვართ.

579
როდისღა უნდა დაიპყროს ადამიანმა ადამიანთაშორისი სივრცე?

580
მწვერვალზე ასულს გამართლება აქვს – მეტი სადღა წავიდეს!

581
გორკილებს არ უყვართ ყურადღების მიბორკვა.

582
ჯალათის ოდინდელი ოცნებაა: მსხვერპლის მიერ ნათქვამი ქათინაური ეგზეკუციის ხარისხის გამო.

583
ადამიანებს ხშირად ჭერი უშლის ზრდაში ხელს.

584
ყოველი მწყემსი როდი ზრუნავს, რომ თავისი ცხვარი სულის მაღლობებზე აძოვოს.

585
მომავალ ეპოქათა მეცნიერებისთვის ისევე ფასეულია დღევანდელი ეპოქის სისულელეები, როგორც რომ სიბრძნე მისი.

586
ვინც სიკვდილის ჟამს განსხვავება ვერ იგრძნო, არ უნდა დაბადებულიყო.

587
ვინც აღტაცებისგან კვდება, უმჯობესია, რომ აღარ აღდგეს.

588
შეცდომები როცა მცირდება, ძალზე დიდი ფასი ედება.

589
„ნუ ერწმუნები“ – ჩურჩულებს ეშმაკი. „ერწმუნე!“ – შეაგონებს ანგელოზი. ხან კი პირიქით ხდება.

590
„ყოველი ნაბიჯი რისკთან არის დაკავშირებული, – ამბობდა ცეკვის ერთი მასწავლებელი. – შეიძლება რომ ახალი ცეკვა იშვას“.

591
რამდენი ადამიანი მიემართება საკუთარ ჰორიზონტებს მიღმა!

592
ქანქარაც დროის ტაქტს უწყობს ფეხს.

593
კაციჭამია ადამიანს არ იზიზღებს.

594
შენ შენი საუკუნის შვილი ხარ. შენზეა დამოკიდებული, ის ვის აირჩევს, რათა შენ გშვას.

595
მიყვარს ადამიანი. არასოდეს არ შევქმნიდი.

596
გახსოვდეს: თუკი პოზიციის დაცვა არ შეიძლება, დაკავება შეიძლება.

597
ჭეშმარიტ რჩეულს არჩევანი არა აქვს.

598
საიდუმლოს გასაღებებს ნუ აჩხარუნებ.

599
ფეხის დადება ყველაზე უკეთ ქონდრისკაცებმა იციან, ეს იმათი დონეა.

600
ოსტატს სისულელე მიუტანა. „საკმარისია, რომ ამისგან სიბრძნე გამოვიდეს?“ „ცოტა კიდევაც დარჩება“, – უპასუხა ოსტატმა.

601
ვინც XIX საუკუნეში ცხოვრობდა, იმათგან წინასწარ ცოტა ვინმე თუ ხედავდა, რომ მერე XX უნდა დამდგარიყო.

602
ქვეყანა სულაც არ არის შეშლილი, თუმცაღა არც ნორმალური ადამიანებისთვის არის მოწყობილი, ის მხოლოდ ნორმირებული ადამიანებისაა.

(გაგრძელება იქნება)



ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ

გადავურჩით ეკონომიკურ სანქციებს?

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებამ — საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების არდაწესების თაობაზე, კმაყოფილება გამოიწვია ლამის ომის შიშით შეპყრობილ ქვეყანაში. უხარდა ყველას, ვინც ბიზნესით არის დაკავებული რუსთთან და იმასაც, ვისაც მშვიდობა სურს. არიან ისეთებიც, რომლებიც პუტინის დიდსულოვნებას მასხრად იგდებენ და მასთან ერთად აკრიტიკებენ საქართველოს „პრორუსულ“ ხელისუფლებას.

საღად მოაზროვნე საზოგადოებასთან ერთად პუტინის გადაწყვეტილებამ კმაყოფილება ხელისუფლებაშიც გამოიწვია, რომელმაც უმალ დაგმო „რუსთავი-2“-ის უზრდელი, პროვოკატორი „ჟურნალისტის“ გაბუნიას რუსეთის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი საქციელი, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან პუტინს სრულიად თავისუფლად შეეძლო ეკონომიკური სანქციების დაწესება, რაც კატასტროფა იქნებოდა ეკონომიკურად სუსტი და განუვითარებელი ქვეყნისთვის (4,5 მილიარდი დოლარი).

მხოლოდ ბოროტ ძალას ძალუძს იმის ლაპარაკი, რასაც დღეს ლაპარაკობს პუტინისა და რუსეთის მისამართით. მხოლოდ მას შეუძლია აფრქვიოს გესლი, შუღლი და მტრობა იმ ქვეყნის მიმართ, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები გვაკავშირებს... ეს ძალა ყველასთვის ცნობილი და ყელში ამოსული ნაცმოძრაობა და მისი თანამგზავრი პარტიებია.

ბოლო დროს განვითარებულმა ანტირუსულმა გამოხდომებმა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ, ბევრ ისეთ ფაქტს ჩამოხსნა ფარდა, რაც საზოგადოებამ ყურმოკვრით იცოდა, თუმცა არ სჯეროდა აღვირახსნელი მედიური პროპაგანდით გაბრუებულს.

ერთი სიტყვით, რუსეთი სამარადისო მტერია...

ანალოგიური ვირტუალური აზროვნება ქართული პოლიტიკის და ხელისუფლების დამახასიათებელიცაა. ეს უკანასკნელი წამსაც არ კარგავს საერთაშორისო არენაზე თუ შინ რუსეთის სალანძღავად, რითაც წარმატებით ართმევს თავს დასავლურ შეკვეთას — რუსეთის ლანძღვასთან დაკავშირებით.

განვითარებულმა მოვლენებმა, ლარის კატასტროფულმა გაუფასურებამ, ეკონომიკური კრახის წინაშე დაყენებამ აიძულა ხელისუფლება, ეთქვა, რომ რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ლანძღვა იწვევს ქართული ეკონომიკის დაცემას; რომ ნაცმოძრაობის მზაკვრული პოლიტიკა მიმართულია რუსეთთან სასიცოცხლო არტერიების გადაჭრისკენ, ხალხის, ისედაც გაუარესებული სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუარესებისკენ, მისი ანტისახელისუფლებო ამბოხისკენ და მთავრობის დამხობისკენ, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ.

მაინც რა ეკონომიკურ კავშირებზეა ლაპარაკი მტერ რუსეთთან, ჩვენ ხომ საინიმუშო ეკონომიკური კავშირები გვაქვს ევროკავშირთან, აშშ-თან? — ფიქრობს რიგით მოქალაქე, ქართული მედიისა და პოლიტიკის პროპაგანდით გზააბნეული.

პასუხი. იმ ეკონომიკურ კავშირებზე, რომლებზეც ხმამაღლა არვინ ლაპარაკობდა, რომ გაუჭირდათ, თქვეს.

ტურიზმის ეროვნული ასოციაციის გასული წლის მონაცემებით რუსი ტურისტების რაოდენობამ 1,4 მილიონს მიაღწია, რითაც დაეწია სომხეთსა და აზერბაიჯანს. ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვამ 1,36 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. რუსეთმა დაიკავა მეორე ადგილი საქართველოში როგორც ექსპორტის, ისე, საქართველოდან იმპორტის მხრივ.

მიმდინარე წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი აბიტურიენტებისთვის 120 ადგილი იყო გამოყოფილი. ამჟამად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოდან 500 სტუდენტი სწავლობს. რუსეთში მცხოვრები ქართველების მიერ ფულადმა გზავნილებმა გასულ წელს მილიარდი დოლარი შეადგინა.

ეს, ის მონაცემებია, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს ბიუჯეტის არსებობას. დავუმატოთ აღნიშნულს რუსული ინვესტიციებით მომუშავე დარგები და მივიღებთ ერთობ საგულისყურო შედეგს — ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების არქონისა და საქართველოს პოლიტიკის ანტირუსული განწყობისა, რუსეთზეა ჩამოკიდებული.

არ იქნებოდა ეს კავშირები და იქნებოდა გაუსაძლისი (დღევანდელზე უარესი) მდგომარეობა. დიპლომატიური ურთიერთობების პირობებში კი რუსული კაპიტალი უფრო თამამად იმოქმედებდა ინვესტიციების ჩადების თვალსაზრისით, რაც უდავოდ წაადგებოდა ქვეყანას.

რეალობის გამომზეურებამ პოლიტიკოსებში, განსაკუთრებით ოპოზიციაში გამოიწვია სრულიად საპირისპირო რეაქცია — რუსეთს ეკონომიკურად დამონებული ვყავართ და საჭიროა ახალი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორების მოძებნაო. ანუ ნაცვლად იმისა, რომ ეთქვათ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, პირიქით განაცხადეს — რუსეთთან არ გვინდა, გამოვძებნოთ სხვაო.

ამ უცნობი „სხვის“ გამოძებნას დრო და ფული სჭირდება. ფული, საკუთარი პროდუქციის რეკლამისთვის. თუნდაც ფულის მოპოვების შემთხვევაში ყურადღების მოსაზიდად დრო და თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. გარდა ამისა ჩვენი ბაზრის მათ მიერ შესწავლა, პოლიტიკურ ვითარებაში ჩახედვა, მეზობლებთან და სხვა ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების გარკვევა, პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა მრავალი მსხვილმან-წვრილმანი საკითხები.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი კვალიფიციური მუშახელის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოყენებას. ამ უკანასკნელის დეფიციტი მწვავედ იგრძნობა. ინვესტორმა დიდი ფული უნდა დააბანდოს ადგილობრივი მუშახელის აღზრდაში, მაგრამ უღირს კი მას ამის გაკეთება?

როგორც ჩანს, არ უღირს, თორემ უცხოურ (რუსულის გარდა) კაპიტალს ხომ ვიხილავდით?

ინვესტორისთვის ქართული ბაზარი პატარა და მსყიდველობით უნარს მოკლებულია, მოსახლეობას შია. ამდენად მან საქართველოში ნაწარმი პროდუქციის გასაყიდად ისევ რუსეთს უნდა მიმართოს. სხვა ქვეყანაში მისი წაღება ზედმეტი სატრანსპორტო ხარჯებია. ასე რომ, რუსეთს ვერც ის (უცხოელი ინვესტორი) და ვერც ჩვენ ვერ ავცდებით. და ესეც რომ არ იყოს, როდესაც მთელი მსოფლიო ცდილობს რუსეთის ბაზარზე შესვლას, ჩვენ სად გავრბივართ?

პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმს, რომელიც წინა თვეს გაიმართა, მსოფლიოს 60 ქვეყნის 17000 ბიზნესმენი ესწრებოდა, მათ შორის 550 ამერიკელი. არადა, აშშ-ს სწორედ სავაჭრო-ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული რუსეთის წინააღმდეგ.

გავრილოვ-გაბუნიას ამბებით გამოწვეულმა ვითარებამ ისე დაძაბა ქართულ-რუსული ურთიერთობები, უარესს რომ ნაცებიც ვერ ინატრებდნენ (ნატრობდნენ კიდევაც). საბოლოო ჯამში 10-15 წლით უკან დაგვწია, რაც მძიმედ მოქმედებს და იმოქმედებს ჩვენს ეკონომიკაზე.

რატომ არის რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი?

უპირველესად იმიტომ, რომ ტერიტორიულად ახლოა და ტვირთების შორს წაღებით გამოწვეულ ხარჯებს ამცირებს. ქართულ პროდუქციას — განსაკუთრებით ღვინოსა და მინერალურ წყალს რეკლამა არ სჭირდება. მათ საუკუნოვანი სანდოობა აქვთ მოპოვებული რუს მომხმარებელში, რომელიც ქართული ღვინის დაგემოვნების დროს იხსენებს ქართულ სამზარეულოს, ტრადიციებს, კულტურას და სხვა მრავალს, რასაც ის საუკუნეთა განმავლობაში ეზიარა. ორ მართლმადიდებელ ქვეყანას უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე საპირისპირო.

ახალ ბაზარს ვერ ექნება რუსულის მსგავსი აღქმა და თუ ექნა — მას ათეული წლები დასჭირდება. გარდა ამისა, რა გვიშლის ხელს, ვიქონიოთ რუსული ბაზარი და პარალელურად განვავითაროთ სხვა ბაზრებზე შელწევის მეთოდიკაც!

გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს ამ უზარმაზარი ქვეყნის ჩაიზე მოთხოვნილების 95%-ს საქართველო აკმაყოფილებდა? გავიხსენოთ კაკლის მურაბა, თამბაქო, თაფლი, ბოსტნეული, ციტრუსი, აბრეშუმი, სხვა უამრავი, წარმატებით რომ გადიოდა რუსეთისა და სოცქვეყნების ბაზრებზე.

აღარაფერს ვამბობ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციაზე, ჩარხმშენებელი ქარხნის უნიკალურ ნაწარმზე, სხვა მრავალზე. განა შეუძლებელია მათი აღორძინება?

უდავოდ შესაძლებელია, თუმცა რუსეთის დახმარებაა საჭირო, რაც ქართული პოლიტიკისთვის მიუღებელია. მაშ რა ვქნათ — ვიძახოთ, რუსეთი მტერი და ოკუპანტია, მასთან ურთიერთობა არ გვინდა, ვინაიდან ჩვენ „ევროპელები“ ვართ?!

ვიძახოთ ის და ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. შესაძლებელი კი ამ ეტაპზე მეზობლებთან, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობაა, რომელიც მოგვიტანს სიმშვიდეს, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, ეკონომიკურ გაჯანსაღებას, სოციალური ვითარების გამოსწორებას, საბოლოო ჯამში ლუკმა-პურის უცხოეთში მაძიებელთა შინ დაბრუნებას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

რუსი ჰაკერის მოსკოვში ექსტრადირების პროცესი დროებით შეჩერდა...

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ რუსი ჰაკერის, იაროსლავ სუმბაევის მოსკოვში ექსტრადირების პროცესი დროებით შეაჩერა. როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საქართველოს პირველ არხს განუცხადეს, ექსტრადირების ნაწილი უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა, თუმცა დროებით შეაჩერა, რადგან პარალელურად სააპელაციო სასამართლო სუმბაევისთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხზე იმსჯელებს.

28 წლის იაროსლავ სუმბაევს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის, ევგენია შიშიკინის მკვლელობასთან კავშირში ადანაშაულებენ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიმდინარე წლის მაისში დააკმაყოფილა რუსეთის გენერალური პროკურატურის მოთხოვნა, რომელიც სუმბაევის მოსკოვისთვის გადაცემას ეხებოდა. რუსი ჰაკერის ადვოკატებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს.

ამასთან, რუსული გამოცემა „კომერსანტი“ წერს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჰაკერის ექსტრადიციის გადადების გადაწყვეტილება მიიღო, რადგან უფლებადამცველებმა საქმეში პოლიტიკური სარჩული იპოვეს. მათი ვერსიით, სუმბაევი რუსეთის მხრიდან სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ ინფორმაციას ფლობდა.

რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირდა...

2019 წლის ივნისში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 143.6 მილიონი აშშ დოლარი (398.8 მილიონი ლარი) შეადგინა, რაც 6.3 პროცენტით მეტია 2018 წლის ივნისის მაჩვენებელზე. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ყველაზე მეტი თანხა — 34.78 მილიონი აშშ დოლარი საქართველოში რუსეთიდან გადმოირიცხა. თუმცა, წინა წლის ივნისთან შედარებით თანხის მოცულობა 11პროცენტითაა შემცირებული.

19.3 მილიონი დოლარი საქართველოში იტალიიდან შემოვიდა (+23.99 პროცენტი), 17 მილიონი დოლარი — საბერძნეთიდან (+23.06 პროცენტი), 15.29 მილიონი დოლარი — აშშ-დან (+7.53 პროცენტი), 13.38 მილიონი დოლარი — ისრაელიდან (+0.67 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მოცულობა ივნისში 25 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი, ხულო-გოდერძის მონაკვეთი) პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოძაურში მდებარე, მოქალაქეების: **ნუგზარ შანთაძის (პ/ნ 61009008059), ჟუჟუნა შანთაძისა (პ/ნ 61009021532) და რევაზ შანთაძის (პ/ნ 61009021533)** თანასაკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.37.246) მთლიანი ფართობის 1000 კვ. მეტრის ნაწილი - 255 კვ. მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (უძრავ ქონებაზე განთავსებული ღობე, ჭიშკარი) და მრავალწლიანი ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან **ნუგზარ შანთაძესთან (პ/ნ 61009008059), ჟუჟუნა შანთაძესთან (პ/ნ 61009021532) და რევაზ შანთაძესთან (პ/ნ 61009021533)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 1000 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.37.246) ნაწილის - 255 კვ. მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობისა (უძრავ ქონებაზე განთავსებული ღობე, ჭიშკარი) და მრავალწლიანი ნარგავების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 02 ივლისის №1-1/317 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების **ნუგზარ შანთაძის (პ/ნ 61009008059), ჟუჟუნა შანთაძისა (პ/ნ 61009021532) და რევაზ შანთაძის (პ/ნ 61009021533)** თანასაკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.37.246) მთლიანი ფართობის 1000 კვ. მეტრის ნაწილზე - 255 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე (უძრავ ქონებაზე განთავსებული ღობე, ჭიშკარი და მრავალწლიანი ნარგავები).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **ნუგზარ შანთაძის (პ/ნ 61009008059), ჟუჟუნა შანთაძისა (პ/ნ 61009021532) და რევაზ შანთაძის (პ/ნ 61009021533)** თანასაკუთრებაში არსებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.37.246) მთლიანი ფართობის 1000 კვ. მეტრის ნაწილის - 255 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა (უძრავ ქონებაზე განთავსებული ღობე, ჭიშკარი) და მრავალწლიან ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - დეპარტამენტი) განახორციელა ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარე, მოქალაქე **აკაკი სიამაიშვილის (პ/ნ 33001029759)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 26.36.06.026) მთლიანი ფართით 45 702 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **აკაკი სიამაიშვილთან (პ/ნ 33001029759)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების 45 702 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.36.06.026) მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 03 ივლისის №1-1/322 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ქობულეთის შემოვლითი გზის პროექტის არეალში მოქცეულ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (საკრებულოს გარე სავარგულები) მდებარე ს/კ 26.36.06.026 საკადასტრო კოდით (წინა საკადასტრო კოდი 26.36.06.011) რეგისტრირებულ **აკაკი სიამაიშვილის (პ/ნ 33001029759)** საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 45 702 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე აკაკი სიამაიშვილის (პ/ნ 33001029759) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 45 702 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

უსაქმურთა ჩემპიონატები

სამხრეთ კორეაში უკვე რამდენიმე წელია, არაფრის კეთებაში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება.

ჩემპიონატის არსი შემდეგში მდგომარეობს: მონაწილეები არაფერს არ აკეთებენ 90 წუთის განმავლობაში, რა დროსაც ყველაფრისგან გათიშვის თავის უნარს წარმოაჩენენ. ჟიურის წევრები კი მათ გამუდმებით უზომავენ პულსს. მათ, ვინც ყვინთაობას, სიცილს, საათზე ცქერას და ა.შ. იწყებს, დისკვალიფიკაციას აძლევენ. ათ საუკეთესოს მაყურებლები ირჩევენ. გამარჯვებულად კი ისინი ითვლებიან, ვისაც გულისცემა სტაბილური აქვს.

მსოფლიოში მრავალი სხვა ერთობ უაზრო ჩემპიონატიც ტარდება. მათ შორის, საფლავების ყველაზე სწრაფად გათხრაში, ექსტრემალურ პირობებში თეთრეულის დაუთოებაში, ცოლების ხელით ტარებაში, ფეხის თითების რესტლინგში, თინუსის (თევზის) ტყორცნაში.

„გამაყუჩებელი“ თავსატეხები

თურმე თავსატეხების ამოხსნა ტკივილთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა.

მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რა დროსაც ვიდრე პაციენტები თავსატეხებს ხსნიდნენ, მათ ხელზე გახურებულ საგნებს ადებდნენ. რაც უფრო რთული იყო თავსატეხი, მით უფრო ნაკლებ ტკივილს განიცდიდა გამოსაცდელი. მაგნიტო-რეზონანსულმა ტომოგრაფიულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ როცა ტვინი მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს, ის ტკივილის სიგნალებზე შეზღუდულად რეაგირებს.

ბრმანაწლავის საფრთხე

ახალგაზრდობაში აპენდიციტის შეტევა 70 პროცენტით ზრდის პროსტატის კიბოსა და ცხრაჯერ — ონკოლოგიურ დაავადებათა მიზეზით სიკვდილიანობის რისკს.

ეს დასკვნა მედიკოსებმა 240 ათასი მამაკაცის სამედიცინო მონაცემთა ანალიზის ჩატარების შემდეგ გამოიტანეს. ექიმები ვარაუდობენ, რომ აპენდიციტი ორგანიზმში ანთებითი პროცესების წარმოშობას პროვოცირებს, რის შედეგად ის სიმსივნეთა განსავითარებლად ხელსაყრელ გარემოდ იქცევა.

განცდა მაინც თავისას შვრება!

ემოციები გონივრულ არგუმენტებზე უფრო ქმედითი ყოფილა.

ფსიქოლოგთა ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ადამიანთა 80 პროცენტი გაცილებით უკეთ ემოციურად აქცენტირებულ სიტყვებს აღიქვამს. ამიტომ, როცა თანამოსაუბრის რაღაცაში დარწმუნება სჭირდება, ადამიანი უნებლიეთ ექსპრესიულ ლექსიკაზე გადადის. გამონაკლისს მხოლოდ დაწერილი ტექსტები წარმოადგენენ, სადაც გაცილებით უმჯობესია გონივრული არგუმენტების გამოყენება.

იცით თუ არა, რომ...

...ჩრდილოეთ ინდოეთში, მდინარე ხუნზას ხეობაში ალექსანდრე მაკედონელის მეომრების მიერ დაარსებულ პატარა მთის სახელმწიფოს მცხოვრებნი, ეროვნებით ხუნზაკუტები, საშუალოდ 120-160 წელს ცოცხლობენ და არანაირი დაავადებები და ეპიდემიები არ იციან, თანაც ყინულიან წყალში მინუს 15 გრადუსზეც ბანაობენ და არაფერზე არ ნერვიულობენ.

...სხვადასხვა სახეობის შიშებს შორის არსებობს გამდიდრების შიშიც, რომელსაც სიმდიდრის ღმერთის პლუტონის სახელი „პლუტოფობია“ ეწოდება.?

...ჭირის ეპიდემიების დროს შუა საუკუნეებში ევროპის იმდროინდელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი დაიღუპა.

◎ მიგვაჩვია!

ეტლით – კვარცხლბეკზე

კიდევ ერთხელ გაგვახარა ეტლით მოფარიკავე ირმა ხეცურიანმა, რომელმაც პოლონეთში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მან ჯგუფურ რაუნდში ყველა შეხვედრის მოგებით შეაღწია, შემდეგ ზედიზედ სძლია რუს ირინა მიშუროვასა – 15:10 და იტალიელ როზა პასკუნის – 15:13, მაგრამ ნახევარფინალური ბრძოლა ჩინელ მეტოქესთკან დათმო.

აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ტოკიოს 2020 წლის პარაოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ასპარეზობა გახლდათ.

ჩვენი თანამემამულე სამშობლოში ხვალ დაბრუნდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ნიჩბოსნობა

„ოქროც“, „ბრინჯაოც“

ბევრს მიაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ნიჩბოსნობა მხოლოდ ზაზა ნადირაძის სახელს უკავშირდება, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე – ეროვნული ნაკრების ლიდერის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს ჩვენი გუნდის სხვა წევრებიც აღწევენ.

დასტურად ჩეხეთში გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გამოდგება, სადაც „ჯვაროსნებმა“ ორი მედალი დაიმსახურეს.

23-წლამდელთა შორის დიდებულად იასპარეზა თბილისელმა ბადრი ყაველაშვილმა, რომელმაც ერთადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) ჯერ 200 მეტრზე წინასწარი გაცურვა მოიგო, ხოლო შემდეგ ფინალშიც აჯობა ყველას და „ოქროს“ მფლობელი გახდა.



თანატოლ პარტნიორს შესანიშნავად აუბა მხარი დუშელმა მარიამ ქერდიკაშვილმა, რომელიც ასევე ერთადგილიანი კაიაკით 500 მეტრზე მესამე პრიზიორი გახდა.

ბეჟან დოლიძე

◎ ძიუდო

გრიგალი ზაფხულში

19 წლის ტატო გრიგალაშვილი ერთი კვირის წინათ ნეაპოლში გამართული უნივერსიადის „ბრინჯაოს“ დაეუფლა, გასულ უქმეებზე კი ბუდაპეშტის გრან-პრიზზე ოქროს მედალი მოიპოვა.

81 კილოში მოასპარეზე ქართველმა ჭაბუკმა უნგრულ ტატამზე ექვსივე მეტოქე უშანსოდ დაამარცხა: ესპანელი იგორ ჰერერო ზაპირაინი, იტალიელი ენრიკო პარლატი, პორტუგალიის სახელით მოჭიდავე ანრი ეგუტიძე, ბულგარელი ივაილო ივანოვი, მასპინძელი ატილა უნგვარი და ბრაზილიელი ჟოაო მაჩადო.

ასევე უმაღლესი ხარისხის ჯილდოს ველოდით 90 კილოში, თანაც სავსებით საფუძვლიანად, მაგრამ მხოლოდ ბექა ღვინიაშვილის დაკავებული მესამე ადგილით დავკმაყოფილდით. რაც შეეხება ევროპის სამგზისა და მსოფლიოს ჩემპიონ ავთანდილ ჭრიკიშვილს, ზედიზედ მოგებული ორი ბრძოლის შემდეგ მისი წინსვლა პლანეტის მოქმედმა გვირგვინოსანმა, ჩვენმა ესპანელმა თანამემამულე ნიკოლოზ შერაზადიშვილმა შეაჩერა, რომელიც მოგვიანებით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქართულ დელეგაციას კიდევ ერთი „ბრინჯაო“ გელა ზაალიშვილმა (+100 კგ) შემატა, ერთადერთი „ჯვაროსანი“ მანდილოსანი ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52 კგ) კი მეხუთე ადგილს დასჯერდა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი



როგორც ჩანს, ქართული კალათბურთის მარადიული აქილევსის ქუსლის – დაცვაში სუსტი თამაშის აღმოსაფხვრელად საკუთარი სიტყვის თქმას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების სერბი თავკაცი მილოშ გლიგორიევიჩიც აპირებს,

დაცვის მადლი

რომელიც შეგირდებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე აგრესიული ტაქტიკით მოძღვრავს.

შედეგიც სახეზეა – „ჯვაროსნებმა“ უკვე ჯგუფური რაუნდის სამივე შეხვედრა მოიგეს: ჰოლანდიასთან – 85:73, სომხეთთან – 98:46 და ფავორიტად მიჩნეულ შვედეთთან – 73:64,რამაც მორიგ სტადიაზე აღზევების რეალური შანსი გაგვიჩინა.

ეს წარმატებები მნიშვნელოვანწილად გუნდის ლიდერების – რატი ანდრონიკაშვილის, ლუკა მაზიაშვილის, ზურაბ ჟღენტის, ნიკა მეცხვარიშვილის, ცოტნე ცარციძისა და ვახტანგ გაფრინდაშვილის დამსახურებაა, თუმცა, ვიმედოვნებთ, მათ ღირსეულად მხარს დანარჩენი „ჯვაროსნებიც“ აუბამენ.

საქართველო – 3, ჰოლანდია, ესტონეთი – 2-2, შვედეთი, კოსოვო – 1-1, სომხეთი – 0 მოგება.

დღეს ჩვენი მეტოქეა კოსოვო, ხოლო ხვალ – ესტონეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი და კორტზე

მსოფლიოს 32 წლის პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მეხუთედ მოიგო უიმბლდონი და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ შვედ ბიორნ ბორგს გაუთანაბრდა, თუმცა, ჯერაც ჩამორჩება ამერიკელ პიტ სამპრასსა (7) და რეკორდსმენ შვეიცარიელ როჯერ ფედერერს (8).

ეს უკანასკნელი ლიდერობს დიდი სლემის ტურნირებზე მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობითაც (20) და მცირე უპირატესობით უსწრებს ესპანელ რაფაელ ნადალსა (18) და სერბ გვირგვინოსანს (16).

და კიდევ: მართალია, ბაზელის მკვიდრს აგვისტოში 38 წელი უსრულდება, მაგრამ იგი კარიერის დასრულების ვარიანტსაც კი ჯერ საერთოდ არ განიხილავს და აცხადებს, რომ მინიმუმ 40 წლამდე აპირებს თამაშს.

საამისოდ მას სპორტული ინტერესი ნამდვილად გააჩნია, რადგან ურთიერთშეხვედრების საერთო ბალანსი უარყოფითი აქვს როგორც ნადალთან (16:24), ისე ჯოკოვიჩთან (22:26), არადა ეს მართლაც ჩოგბურთის მოვლენა ბევრს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიაჩნია.

სხვათა შორის, ჯოკოვიჩისა და ფედერერის წლევანდელ ხუთსეტიან ფინალში ხანგრძლივობის რეკორდიც „დაიბადა“ – ბრძოლა ხუთ საათსა და ორ წუთს გაგრძელდა და 3:2 დასრულდა (7:6, 1:6, 7:6, 4:6, 13:12).

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ „ნოლემ“ სამივე პარტია ტაი-ბრეიქზე მოიგო, რაც თვალნათლივ მიუთითებს მის უტეხ სულზე. იმასაც მოგახსენებთ, რომ ძველი მიღწევის ავტორები ფედერერი და ნადალი იყვნენ, რომლებმაც 2008 წლის დაუვიწყარ ფინალურ სპექტაკლში კორტზე ოთხი საათი და 48 წუთი დაჰყვეს.

დავძენთ, რომ ქალთა ტურნირში პირველად გაიმარჯვა რუმინელმა სიმონა ჰალეპმა. იგი დაუნდობლად თვით სერენა უილიამსს გაუსწორდა – 6:2, 6:2.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სეზონის ტრანსფერი

როგორც იქნა...

„ბარსელონამ“ „ატლეტიკოსგან“ 120 მილიონ ევროდ შეძენილი 28 წლის ფრანგი თავდამსხმელი ანტუან გრიზმანი „კამპ ნოუზე“ წარადგინა.

ახალ გუნდში მსოფლიოს ჩემპიონი 4 სეზონის განმავლობაში 17-ნომრიანი მაისურით ითამაშებს და მისი გამოსასყიდი თანხა 800 მილიონი ევრო იქნება.

პრეზენტაციის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა კლუბის საიტს პირველი შთაბეჭდილებები გაუზიარა:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ გადმოვედი და სერიოზულ გამოწვევას ვიღებ. მე მზად ვარ.

ყოველთვის ვცდილობ, რომ კიდევ უფრო უკეთესად ვითამაშო და ყველა ტურნირის მოგება მინდა.

მესისთან ერთად თამაში ენით აუწერელი ბედნიერების წყაროა.

რაც შეეხება იმას, რომ მესი და სუარესი ჩემი შარშანდელი გადაწყვეტილებისა და ჩაშლილი ტრანსფერის გამო განაწყენებულნი არიან – შესაძლოა, ასეც იყოს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ჩვენ მალე შევხვდებით და დავილაპარაკებთ.



„ეს ადვილი ტრანსფერი არ იყო. ძალიან კმაყოფილები ვართ. მადლობა მას, რომ ჩვენს წინადადებას დასთანხმდა. 35-მილიონევროიანი სესხის აღება მოგვიწია, რომელსაც 6 თვეში დავფარავთ, კიდევ 85 მილიონს კი ფეხბურთელების გაყიდვით ვიშოვით.

„ატლეტიკოს“ განცხადება? მადრიდულ კლუბს ველაპარაკე. მესმის, საკუთარ ინტერესებს იცავენ, მაგრამ არა მგონია, რამე გამოუვიდეთ.

გრიზმანის გარემოცვას მაისში დავუკავშირდით და არა მარტში ან აპრილში“, – განუცხადა ბარტომეუმ As-ს.

გიორგი ზოთაძე

პატრიარქის ნათლული კიდევ 564 ბავშვი გახდა

ჩვილთა 59-ე საყოველთაო-ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა.

ნათლობის დასრულების შემდეგ ისინი კათოლიკოს-პატრიარქმა პირადად დალოცა. საყოველთაო ნათლობის იდეა ილია მეორეს ეკუთვნის.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 38 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილი არიან.

ვლაქერნობა ზუგდიდში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 15 მაისს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის ვლაქერნაში დადების დღესასწაულს ზეიმობს.

დღესასწაულთან დაკავშირებით, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმიდან სპეციალურ ლუსკუმაში ჩაბრძანებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი გადააბრძანეს ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარში, სადაც სადღესასწაულო ლიტურგია გაიმართა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ, თითოეულ მორწმუნეს შესაძლებლობა ჰქონდა, თაყვანი ეცა, მოილოცა ღვთისმშობლის კვართი და სიწმინდეები, რომლებიც მუზეუმიდან წელიწადში ერთხელ, სწორედ ვლაქერნობის დღესასწაულზე გადმოაქვთ საკათედრო ტაძარში.

ამ დღესასწაულზე ზუგდიდში მოსალოცად მრევლი ჩადის როგორც საქართველოს ეპარქიებიდან, ასევე უცხოეთიდან.

ვლაქერნობის დღესასწაულის აღნიშვნა 1990 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით აღდგა.

აღმოაჩინეს წარწერიანი უძველესი საფლავის ქვები

სათხის სამონასტრო კომპლექსში სარესტავრაციო სამუშაოების დროს წარწერიანი საფლავის ქვები აღმოაჩინეს, - წერს საკუთარ ფეისბუქის გვერდზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე.

სათხის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაობის დროს აღმოჩნდა ორი საფლავის ქვა წარწერით. პირველადი მონაცემებით, წარწერაში მოხსენიებულია მე-17 საუკუნეში ტაძრის რესტავრატორი ზურაბიშვილი. სპეციალისტები მალე გამოაქვეყნებენ სრულფასოვან კვლევას, — წერს ანთიძე.

სათხის სამონასტრო კომპლექსი V-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მდებარეობს დაბა კაზრეთიდან 4 კილომეტრში. სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ ძველი ნასახლარებია შემორჩენილი. მთავარი, ცენტრალური ეკლესია X საუკუნეს განეკუთვნება და თავისი ორნამენტებითა და მრავალფეროვანი ეპიგრაფიული წარწერებით გამოირჩევა.

კომპლექსის კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოები 2018 წლის ზაფხულში დაიწყო და ოთხ წელს უნდა გაგრძელდეს.

გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი ჩოხში

გუდამაყარში, სოფელ ჩოხში გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი შენდება. მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე სამუშაოებს რწმუნებული შალვა კერესელიძე ადგილობრივ მოსახლეობასთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახლ-მუზეუმის მშენებლობა უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ორსართულიანი შენობა აშენდება, რომელშიც გოდერძი ჩოხელის პირადი კაბინეტი, ორი საგამოფენო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი განთავსდება.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაგეგმილია ეზოს კეთილმოწყობა და მუზეუმის აღჭურვა.

გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის მშენებლობა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება. სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით და მისი ღირებულება 397 ათას ლარს შეადგენს.



სულთათანა

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა 1990-1992 წლების საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი

ვაჟა აბაკელია

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გია მეფარიშვილი, ვაჟა თორდია, ჯემალ გახოკიძე, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, კახა არდია, დემიკო ლოლაძე, ვენედი ბენიძე, როლანდ გილიგაშვილი, ტატო ლასხიშვილი, ზურაბ რეხვიაშვილი, ბესიკ ფიფია, ზურაბ აბშილავა, თემურ მურღულია, ზურაბ გოგოხია, თენგიზ დიხამინჯია, გურამ ახალაია, ჯამბულ წულაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე

ვაჟა აბაკელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ თამარ ბებურიძეს მამის

უნო ბებურიძის

გარდაცვალების გამო.

სომხეთის მოქალაქეს რადიოაქტიური მასალები გადაჰქონდა

სუს-ის ცნობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში საქართველო-სომხეთის საზღვრის „სადახლოს“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე რადიაციის აღმომჩენი პორტალის მიერ დაფიქსირებული განგაშის საფუძველზე რადიოაქტიური მასალებისადმი უკანონო მოპყრობისა და საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.



გამოძიებამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სომხეთის მოქალაქის მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო მიკროავტობუსით, საქართველოს ტერიტორიის გავლით, სომხეთიდან რუსეთის ფედერაციაში ოთხ ფუთაში დაფასოებული ნივთიერება „თორიუმის“ გადატანის მცდელობას. ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ აღნიშნული ფუთების საერთო წონაა 71,63 კგ და ისინი შეიცავენ რადიოაქტიურ იზოტოპს „თორიუმ-232“, რომელიც მიეკუთვნება ბირთვულ მასალათა კატეგორიას.

გამოსხივების დოზის სიმძლავრე ფუთების ზედაპირზე შეადგენდა 18-მდე მიკროზივერტს/სთ. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური უსაფრთხო სიმძლავრე წარმოადგენს 0,5 მკზტ/სთ. ამოღებული ნივთიერება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

გამოძიების პროცესში დაკავებული იქნა ამოღებული ტვირთის მფლობელი, სომხეთის მოქალაქე მილიტოს მ, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა.

ევროპაში საძარცვავად ჩასულები...

პორტუგალიაში სამართალდამცველებმა სამი ქართველი დააკავეს, ისინი სახლების ძარცვაში არიან ეჭვმიტანილი.



როგორც პორტუგალიური მედია წერს, დაკავებულები პორტუგალიაში ხუთი თვის წინ ჩავიდნენ. ისინი პორტუგალიის პოლიციის ძალებმა პორტუში დააკავეს.

ადგილობრივი გამოცემების ცნობით, დაკავებულები ქალაქ ვილა-ნოვა-დე-გაიაში საკეტების გახსნის ტექნიკას ასწავლიდნენ.

მედია წერს, რომ დაკავებულებს სავარაუდოდ, კრიმინალურ დაჯგუფებებთან აქვთ კავშირი.

გიურზა რუსთავ-ქალაქში

რუსთავში, გორის ქუჩაზე ახალგაზრდა კაცს გიურზამ უკბინა. ის ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

დაშავებულის განცხადებით, შხამიანმა გველმა მას საცხოვრებელი სახლის ეზოში უკბინა. ახალგაზრდას ნაკბენი ხელზე 2 ადგილზე აქვს.

ექიმების განცხადებით, პაციენტს პირველადი დახმარება გაუწიეს და ამ ეტაპზე აკვირდებიან. ინტოქსიკაციის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მას რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანენ.

აღსანიშნავია, რომ დაშავებულმა კაცმა სასწრაფო სამედიცინო დახმარება თვითონ გამოიძახა და გველის სახეობის დასადგენად, ქვეწარმავალი კლინიკაში მიიყვანა. ადგილზე იმყოფებოდნენ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან სპეციალისტებიც, რომლებმაც დაადასტურეს, რომ კაცს ნამდვილად გიურზამ უკბინა.

IN VINO VERITAS! ვინც ღვინოს ვერ იტანს!

შეურაცხყოფით **შეძრულმა და სამართლის საძებნელად დედაწულიანად დედაქალაქისკენ ურმით დაძრულმა კახეთმა ცივგომბორიდან „რუსთავი-2“-ში მალემსრბოლები აფრინა: ჯანდაბისკენ დროულად უქენით პირი ნიკა გვარამიას, თორემ ალაზანი ადიდდა და ყიამყრალა გველდირექტორთან ერთად თქვენც არ წაგლეკოთო. მერე ერთი უხუცესი მომიბრუნდა და სიყრმის მეგობრობა შემახსენა: რიონისპირელ თანამერხელს ჩვენი ყველა კლასელივით გურჯაანელად გთვლი და, ვიცი, არ გამაწბილებ, თითოეული ჩვენგანის სათქმელს კახური პირდაპირობით მიახლი უცხვირპირო გვარამიასო.**

გთავაზობთ სათრეველას გველდირექტორზე და თავად განსაჯეთ, რამდენად შევძელი კახელი მეგობრის ნაუბრის მიტანა იმ უსირცხვილო არაკაცამდე, რომელსაც არა აქვს არც საქართველოს, არც ქართველი ხალხის, არც წმიდა ნინოს თმებით შეკრული ღვთივკურთხეული ვაზის ჯვრისა და არც დედასამშობლოსავით უტკბილეს მტევანთაგან ნაჟური ჭაჭანაურის ატანა, რამეთუ არ იცის „In vino veritas!“ (ღვინოშია ჭეშმარიტება)!..

კახელ მეღვინეთა თხოვნა თემიდას

დამპალს და პირაღიასა,
ჩვევად აქვს გვარამიასა,
სუყველაფერი წაბილწოს,
სუყველაფერზე მიაფსას.
მაგრამ თავხედი ამჯერად,
ბოდიშს რომ იტყვის, არ გვჯერა,
ამიტომ გაქირ სახედარს,
ღვინოს რომ ბილწავს,
იმ კასრთან
ჩამოაკითხა კახეთმა...
თემიდას რას ვთხოვთ?
იაფსა:
ამ წუპაკს ძაღლმა მიაფსას!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი-გურჯაანი

კურორტ თეთნულდზე ზაფხულის სეზონი გაიხსნა

ეკონომიკისა **და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ თეთნულდზე ზაფხულის სეზონი გახსნა. სვანეთში არსებული კურორტი თეთნულდი პირველად უმასპინძლებს ვიზიტორებს ზაფხულში. საბაგიროები ყოველდღიურ რეჟიმში 10 საათიდან 16:30 საათამდე იმუშავებს.**

კურორტი თეთნულდი ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, მესტიიდან კი 15 კმ-ში მდებარეობს. დამსვენებლებს თეთნულდზე სავარძლის ტიპის ოთხი საბაგირო დახვდებათ. საბაგიროს მეშვეობით კი შესაძლებელია ზღვის დონიდან უმაღლეს წერტილზე 3160 მეტრის სიმაღლეზე მოხვედრა, სადაც თეთნულდისა და უშბის ულამაზესი ხედებია.

კურორტი ჰაწვალი კი თვეზე მეტია, მასპინძლობს ვიზიტორებს. ჰაწვალი მესტიიდან რვა კმ-ში მდებარეობს, სადაც დამსვენებლებს ორი საბაგირო ემსახურება. საბაგიროები ყოველდღე 10 საათიდან 17:30 საათამდე მუშაობს.

შეკვეთილში შიმშილობის აქცია შეწყდა

შეკვეთილში შიმშილობის აქცია შეწყდა, თუმცა საპროტესტო აქციები გაგრძელდება, — ამის შესახებ ინფორმაციას აქციის ორგანიზატორები ავრცელებენ.

„ექიმების დაჟინებული მოთხოვნით, შიმშილობის აქცია შევწყვიტეთ. ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მოგვიხდა ამ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა აქციებში აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას“, — განუცხადა ჟურნალისტებს მინდია ადაძემ.

ორგანიზატორების განცხადებით, საპროტესტო აქციები პერმანენტულ რეჟიმში გაგრძელდება იქამდე, ვიდრე შს მინისტრი გიორგი გახარია თანამდებობიდან არ გადადგება.

2020 წლისთვის მსოფლიოში 4 მილიარდი სმარტფონი იქნება

კომპანია Strategy Analytics-ის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ 2020 წლისთვის სმრატფონის მომხმარებელთა ბაზა 5%-ით გაიზარდება და 4 მლრდ-ს მიაღწევს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანებს 4 მლრდ-ს სმარტფონი ექნებათ. ამ დროისათვის კი დედამიწაზე 7.6 მლრდ ადამიანი ცხოვრობს.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ საოპერაციო სისტემა Android-ი ბაზარზე დომინირებას ისევ აგრძელებს, თუმცა სამომავლოდ მისი წილი სავარაუდოდ შემცირდება, რადგანაც კომპანია Huawei საკუთარ საოპერაციო სისტემას — OC უშვებს.

წყალდიდობა ნეპალში

ნეპალში **წყალდიდობისა და მეწყერის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 65-მდე გაიზარდა, კიდევ დაშავებულია 38 ადამიანი.**

ამასთან, გრძელდება 30 დაკარგულის ძებნის ოპერაცია.

მაშველებმა დაზარალებული რაიონებიდან 1146 მცხოვრები გაიყვანეს. სტიქია სულ 22 რაიონს შეეხო. მოსალოდნელია, რომ ძლიერი წვიმები კიდევ ორ დღეს გასტანს.

ლაშანა - ახალი ჯეიმს ბონდი

ახალი **აგენტი 007-ის როლზე ჯეიმს ბონდის 25-მდე ფილმში ბრიტანელი მსახიობი ლაშანა ლინჩი დაამტკიცეს. იუწყება** Daily Mail-ი.

გამოცემის წყარო ამტკიცებს, რომ ლინჩი ითამაშებს არა ბონდის, არამედ ახალ პერსონაჟს, რომელსაც აგენტ 007-ის ნომერს აძლევენ სპეცსამსახურებიდან მისი წასვლის შემდეგ.

„ფილმის დასაწყისში არის საკვანძო სცენა, როდესაც ფრაზის — „შემოდით, 007“-ის შემდეგ ჩნდება ლაშანა — ულამაზესი აფროამერიკელი ქალი. ბონდი კვლავინდებურად ბონდია, მაგრამ როგორც აგენტ 007-ს ცვლის უმშვენიერესი ქალი“, — განუცხადა წყარომ გამოცემას.

სიუჟეტის თანახმად, ბონდი პენსიაზე გადის და იამაიკაში მიემგზავრება, საიდანაც მას სამსახურში გამოიძახებენ, რათა შეაჩეროს გლობალური კრიზისი.

ლაშანა ლინჩი პოპულარული გახდა ფილმ „კაპიტან მარველში“ მარია რემბოს როლის შესრულების შემდეგ.

„კურიოზიტი“ მარსზე დასეირნობს

მარსისთვის **კოსმოსიდან გადაღებულ ახალ სურათზე წითელი პლანეტის დრამატულ ლანდშაფტთან ერთად ჩანს ნასას მარსმავალი „კურიოზიტიც“, რომელიც ამჟამად შარპის მთის კალთებზე იმყოფება. ეს მთა სიმაღლეში 5 კილომეტრია და აღმართულია გეილის კრატერში. „კურიოზიტი“ იქ თიხის შემცველ მინერალებს იკვლევს.**

ფოტო 2019 წლის 31 მაისს გადაიღო მარსის ორბიტაზე მოძრავმა ნასას ხომალდმა MRO-მ. სურათზე „კურიოზიტი“ მოლურჯო ლაქის სახით ჩანს. მავალის ჩრდილოეთით აღმართულია ვერა რუბინის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მუქი ლაქის სახით ქვიშიანი რეგიონი მოჩანს.

თუ ფოტოს კარგად დააკვირდებით, დაინახავთ „კურიოზიტის“ თავს, ანუ დისტანციური მართვის გადამცემს. სურათის გადაღების მომენტში მავალი ჩრდილოეთიდან 65 გრადუსით საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით იყო, რის გამოც გადამცემი ასე კაშკაშად მოჩანს.



ნასას შემდეგი მავალი „მარს-2020“ წითელ პლანეტაზე 2021 წლის 18 თებერვალს დაჯდება და სიცოცხლის ნიშნებზე ინადირებს, თუკი ის ოდესმე არსებობდა ან არსებობს ჩვენს მეზობელ პლანეტაზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8513; ევრო - 3.2094;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5727;
100 რუბლი - 4.5215; თურქული ლირა - 0.4984;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6779;
1000 სომხური დრამი - 5.9813.

ამინდი 16 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge